პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრომელთა დეპუტატთა ის საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 230 (10927)

შაბათი, 28 სექტემბერი, 1957 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ქ-ნი ე. რუზველტი (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად. სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად (1-ლი გვერდი).

ს. კაჭკაჭიშვილი. — ბეჯითი შრომის ნაყოფი (1-ლი გვერდი).

ნ. ქინქლაძე. — დაუვიწყარი დღეები (1-ლი გვერდი).

ს. რიჟინაშვილი. — ოქტომბრის ქარცეცხლში გამოვლილი (მე-2 გვერდი).

ჩვენი ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის გზით (მე-2 გვერდი).

უფრო ფართოდ გავშალოთ მუშსოფლკორთა მოძრაობა (მე-2 გვერდი).

გ. ნოდია. — განახლებული ცხოვრების გზაზე (მე-3 გვერდი).

მ. ჭიჭინაძე. — საპატიო და სასახელო საქმე (მე-3 გვერდი).

წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).

ჰ. სეროფიანი. — დიდი სომეხი პოეტი (მე-3 გვერდი).

ნ. ჯანჯღავა, გ. ხუსკივაძე. — პროგრესული მეთოდების დანერგვით [illegible] (მე-3 გვერდი).

აკ. ჩავლეიშვილი. — [illegible] ნამოდვარი (მე-4 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესია (მე-4 გვერდი).

ა. შტეინბერგი. — სიახლენი შემნახველ სალაროს მუშაობაში (მე-4 გვერდი).

დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

★ ★ ★ ★ ★ ★

საკოლმეურნეო წყობილების დიადი ძალა

საკოლმეურნეო წყობილებამ, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი მონაპოვარია, მთელი შემდგომი განვითარებით დაამტკიცა თავისი უპირატესობა წვრილ, დაქსაქსულ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობასთან შედარებით. გლეხობის მასები დარწმუნდნენ, რომ შეძლებული და კულტურული ცხოვრების ერთადერთი გზაა მეურნეობის კოლექტიური გაძღოლა მიწათმოქმედების მექანიზაციის ბაზაზე.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენს ქვეყანაში აღიზარდნენ შესანიშნავი ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრები, რომლებიც წარმატებით წყვეტენ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს.

ყოველწლიურად სულ ახალ წარმატებებს აღწევს საკოლმეურნეო წარმოების კარგი ორგანიზატორის ა. ხარჩილავას ხელმძღვანელობით ოჩამჩირის რაიონის სოფელ ქოჩარის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელი. შარშან აქ 437 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 3.500 კილოგრამი ჩაი, მნიშვნელოვნად გაადიდეს მარცვლეულის, ხორცისა და რძის წარმოება. კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 10.772.357 მანეთი შეადგინა.

წითელწყაროს რაიონის სოფელ საბათლოს მიქოიანის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის ცხოვრებაში გარდატეხა დაიწყო 1950 წლიდან, როცა მის თავმჯდომარედ პარტიის რაიკომის რეკომენდაციით აქაურმა კოლმეურნეებმა აგრონომი ემა დავთიანი აირჩიეს. საკოლმეურნეო წარმოების კარგად ცოდნამ, არტელის წევრთა შემოქმედებითი ძალების რწმენამ და ადამიანებისადმი მიდგომის უნარმა ახალ თავმჯდომარეს საშუალება მისცა აემოქმედებინა გამოუყენებელი რეზერვები, დაემსახურებინა კოლმეურნეთა ნდობა და პატივისცემა.

უკანასკნელ წლებში საბათლოს კოლმეურნეობის ცხოვრებაში თვალსაჩინო ცვლილებები მოხდა. მოსავლიანობის ამაღლებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ მან ერთ-ერთი მოწინავის სახელი დაიმკვიდრა წითელწყაროს რაიონში. შარშან აქ 1953 წელთან შედარებით სამჯერ გაზარდეს ფულადი შემოსავალი, თვითეულ შრომადღეზე გაანაწილეს 4-ჯერ მეტი ფული და ორნახევარჯერ მეტი მარცვლეული. საბათლოელი კოლმეურნეები ახალი მიღწევებით ხვდებიან დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს.

ეს მხოლოდ ორი მაგალითია მრავალთაგან, რომლებიც ნათლად გვიჩვენებს, რომ კოლმეურნეობაში საქმის წარმატებას წყვეტენ ხელმძღვანელი კადრები. ჩვენი ქვეყნის, კერძოდ, საქართველოს ბევრი სასოფლო-სამეურნეო არტელის მუშაობის გამოცდილება გვასწავლის, რომ ყველაზე ჩამორჩენილი კოლმეურნეობაც კი ორი-სამი წლის მანძილზე შეიძლება გადაიქცეს მოწინავედ, თუ მას სათავეში ეყოლება კარგი ხელმძღვანელი.

გამოცდილი ხელმძღვანელი კადრებით კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცება სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამის განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობაა. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმი აღნიშნავდა, რომ იმ მატერიალურ-ტექნიკურ პირობებს, რომლებიც იქმნება სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, არ შეუძლიათ მოგვცეს საჭირო ეფექტი, თუ გადაჭრით არ გავაუმჯობესეთ ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობისადმი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმიდან განვლილ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1955 წლის გაზაფხულზე საჭიროდ ცნეს საბჭოთა კავშირში ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებად გაეგზავნათ 30 ათასი მოხალისე — პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები, სპეციალისტები, მუშები და მოსამსახურეები.

საუკეთესოთა შორის საუკეთესონი— კარგი ორგანიზატორები და პოლიტიკურად მომზადებული ადამიანები იქნენ შერჩეულნი კოლმეურნეობებში სამუშაოდ. საქართველოს კოლმეურნეობებში ამჟამად მუშაობს სამასამდე ოცდაათათასელი.

საყურადღებო და მისაბაძია ბევრი ოცდაათათასელის მუშაობა. ჩვენს ხელთ არის იმის საგულისხმო ფაქტები, თუ წინათ ჩამორჩენილმა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა მოკლე დროში როგორ მოიპოვეს სერიოზული წარმატებები საქმის მცოდნე, ენერგიულ და ავტორიტეტიან ხელმძღვანელთა მეთოხებით.

მაგრამ ამ. მხრივ გამონაკლისებიც არის. ზოგიერთი ოცდაათათასელი მუშაობის დაწყების პირველი დღეებიდანვე შეუშინდა მის წინაშე წამოჭრილ სიძნელეებს, ნაკლებ ინიციატივას იჩენდა, არ იყო დაინტერესებული კოლმეურნეობის ეკონომიკით, შემოქმედებითად არ უდგებოდა კონკრეტულ საკითხებს, ვერ გამონახა საერთო ენა კოლმეურნეებთან. ამას შედეგიც არასახარბიელო მოჰყვა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის მაღალი, საპატიო პოსტი უნარიანი, საქმისათვის თავდადებული ადამიანის წინაშე შემოქმედებითი შრომისა და ინიციატივის ფართო სარბიელს ხსნის. მაგრამ ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყდეს ისიც, რომ თვით ყველაზე გამოცდილ და უნარიან ხელმძღვანელსაც არ შეუძლია გადაჭრას სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის საპატიო ამოცანები, თუ მას ქმედითად არ დაეხმარებიან და მხარს არ დაუჭერენ ყოველ სასარგებლო წამოწყებაში ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, თუ იგი არ დაეყრდნო კოლმეურნეთა ფართო აქტივს, არ მოახდინა მშრომელთა მთელი შემოქმედებითი ძალების მობილიზაცია.

ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრების შერჩევა ერთდროული ღონისძიება როდია. იგი პარტიული ორგანიზაციებისაგან მუდმივ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას მოითხოვს. სწორი ხელმძღვანელობის არსს ვ. ი. ლენინი ხედავდა გულმოდგინე ორგანიზატორულ მუშაობაში, კადრების ისეთი განაწილების უზრუნველყოფის უნარში, რომლის დროსაც საქმე საუკეთესოდ წავა, ხოლო თვითეული ადამიანი თავის ადგილას იქნება.

ჩვენი საყვარელი სამშობლო დიდ საწარმოო და პოლიტიკურ აღმავლობას განიცდის. სულ უფრო ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, სოფლის მექანიზატორები და სპეციალისტები ყოველდღიურად აძლიერებენ ბრძოლას პარტიის მიერ დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტისათვის. ამ ბრძოლის წარმატება ბევრად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად იმუშავებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე — საკოლმეურნეო წარმოების ცენტრალური ფიგურა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ქ-ნი ე. რუზველტი

იალტა, 27 სექტემბერი. (საკუთარი). დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ამერიკელი საზოგადო მოღვაწე, ამერიკის შეერთებული შტატების განსვენებული პრეზიდენტის ფრანკლინ დ. რუზველტის მეუღლე — ქალბატონი ელეონორა რუზველტი, რომელიც საბჭოთა კავშირში მოგზაურობს როგორც ტურისტი.

მიღების დროს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ე. რუზველტს შორის გაიმართა საუბარი, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

გრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მწერალ მუხტარ ომარხანის-ძე აუეზოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მწერალ მ. ო. აუეზოვის დაბადების სამოცწლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში მისი თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად ამხ. მუხტარ ომარხანის-ძე **აუეზოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 27 სექტემბერი.

სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად

ნაბიჯ-ნაბიჯ გვიახლოვდება დიდი დღესასწაული. გვიახლოვდება და თანდათან მატულობს სიხარულით აღსავსე საბჭოთა ადამიანების გულისცემაც. კეთილშობილური მღელვარებით შეპყრობილნი ისინი ერთ აზრს, ერთ სურვილს გაუტაცია:

— რითი ვასახელოთ პარტია, რით გავახაროთ სამშობლო.

პოეტები ლექსებს თხზავენ, კომპოზიტორები — სიმღერებს, მანქანათმშენებლები ამზადებენ ჩარხებსა და მანქანებს, ფეიქრები — ფარჩასა და შალეულს, მეკონსერვეები — კომპოტსა და მურაბას, მკერავები — კოსტუმებსა და პერანგებს, მეფეხსაცმელეები — ტუფლებსა და ფაჩუჩებს, კოლმეურნეები ჩხებსა სჭრიან ზვრებში, ხილს კრეფენ ბაღებში. მოდის ზეგეგმითი პროდუქცია, მოდის შრომითი საჩუქრები, მოდის თბილისიდან და გორიდან, ბათუმიდან და სამგორიდან...

შეხედეთ ამ სურათებს, შეხედეთ ამ შრომით დამტკბარ, ბედნიერი ცხოვრებით და ბარაქიანი მოსავლით გაღიმებულ სახეებს.

შორს აქვთ გავარდნილი სახელი აბრეშუმეულის ქართველ ოსტატებს. ვინ იცის რამდენი საბჭოთა ადამიანი შეიმოსება სადღესასწაულოდ თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ქსოვილისაგან შეკერილი ტანსაცმლით? პირველ სურათზე თქვენ ხედავთ აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მოწინავე ადამიანებს ინსტრუქტორ ქეთევან ბათაშვილსა (მარცხნივ) და მემასრე ალექსანდრა გვრიტიშვილს, რომელიც 170 პროცენტით ანაღდებს დღიურ დავალებებს.

არანაკლებ გაიხარებენ მოქალაქეები ბათუმელი მეფეხსაცმლის ს. ასლანიანის მიერ შეკერილი ტუფლებით, ახალი ფეხსაცმლით საოკტომბრო დემონსტრაციაზე რომ გაივლიან. ასლანიანი სადღესასწაულო ვახტზე დგას, გეგმებს 20-30 პროცენტის გადამეტებით ანაღდებს (სურათი № 2).

საბჭოთა ადამიანების ხელით შექმნილმა სამგორის არხმა სიცოცხლე შთაბერა უდაბნოს, ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ გუშინდელ ტრამალებზე (სურათი № 3) სამტრესტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ვაშლით დახუნძლული ტოტები თავს უკრავენ დედამიწას. გორის რაიონის ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადის“ ბაღში ვაშლს კრეფავს ლ. ტერმარკოზაშვილი (სურათი № 4).

ფოტო შ. გოქაძის, ი. დვალის და გ. ვახტანგაძისა.

ბეჯითი შრომის ნაყოფი

სპეციალობით აგრონომი ვარ. ვმუშაობდი ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მასწავლებლად. ადიგენის რაიონის სოფელ არალის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა დიდი ნდობა გამომიცხადეს და ამირჩიეს თავმჯდომარედ.

მთის სოფელ არალში მოგვყავს მარცვლეული, კარტოფილი, ხილი. გვაქვს კარგი ბოსტანი, აღმავლობის გზით მიდის საზოგადოებრივი მეცხოველეობა. ჩვენი კოლმეურნეობის წევრები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან ახალციხის რაიონის დაბა ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებთან. მეზობელი რაიონების ორივე სოფლის მშრომელები ცდილობენ სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ სახელოვან თარიღს — დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს.

რა გაკეთდა პრაქტიკულად არალში? უწინარეს ყოვლისა, წარმატებები მოვიპოვეთ მეცხოველეობის განვითარებაში. გადაჭარბებით შევასრულეთ მეცხოველეობის სულადობის გეგმა. წინასწარი გაანგარიშებით ვიცით, რომ წლის ბოლოსათვის ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე წარმოებული იქნება 48 ცენტნერი ხორცი, აქედან 26 ცენტნერი ღორის ხორცი. სუქებაზეა დაყენებული 110 სული ღორი, 450 ცხვარი, 80 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. ვადაზე 4 თვით ადრე სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩავაბარეთ ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები. გვყავს 200 ძროხა. თვითეულ საფურაქე ძროხაზე საშუალოდ უკვე მიღებულია 950 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 710 ლიტრისა. ფერმაში საუკეთესო მწყემსები და მწველავები ია პ. ჩილინგარიშვილი, ტ. ბახტურიძე, თ. ტატალაშვილი და სხვ. მწველავმა ა. ფეიქრიშვილმა მოსავლელად მიჩენილ 11 ძროხაზე 11 ხბო მიიღო და შეინარჩუნა, თვითეულ ძროხაზე საშუალოდ მოწველა 1.200 კილოგრამი რძე, გეგმა კი 710 კილოგრამს ითვალისწინებდა. მისი ვალდებულებაა წლის ბოლომდე თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღოს 1.500 კილოგრამი რძე.

ზამთრისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით თვითეულ ძროხაზე უკვე ჩავდეთ 6 ტონა სილოსი. ეს სამუშაო კვლავ გრძელდება. წელს ვალდებულებით ნაკისრი 10.000 ცენტნერი ნამჯის ნაცვლად დავაგროვეთ 15.000 ცენტნერი, ხოლო 100 ტონის ნაცვლად 450 ტონა თივა.

კოლმეურნეობის მიწები სარწყავია. ამიტომ განვიზრახეთ წყლის საქაჩავი მანქანის მოწყობა. მომავალ წელს 120 ჰექტარ ფართობს მოვრწყავთ.

წარმატებები სრულდება ნაკისრი ვალდებულება ბოსტნეული კულტურების მოსავლის მოყვანის დარგში. 380 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე 400 ცენტნერ კომბოსტოს ვიღებთ. ხახვის მოსავალმა ჰექტარზე 200 ცენტნერს მიაღწია, პამიდორისამ — 250 ცენტნერს.

დიდი ხვედრითი წონა აქვს მეხილეობას, რომლის შემოსავალი კოლმეურნეობის ფულადი შემოსავლის 40 პროცენტს შეადგენს. წელს გავაშენეთ 6 ჰექტარი ახალი ბაღი და საერთო ფართობი 66 ჰექტარამდე ავიყვანეთ. 1960 წელს ხეხილის ბაღებს 100 ჰექტარამდე გავზრდით. წელს ხილის უხვი მოსავალია.

არალელი კოლმეურნეები ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ანაღდებენ. ისინი მკვეთრად აღიდებენ ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოებას.

ს. კაჭკაჭიშვილი,
ადიგენის რაიონის სოფელ არალის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

შეასრულეს 9 თვის გეგმა

ჭიათურა, 26 სექტემბერი. (საქდესი). ვოროშილოვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა შეასრულა სასაქონლო პროდუქციის დამზადების ცხრა თვის გეგმა. მაღაროელებმა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12 პროცენტით გაადიდეს მარგანეცის მოპოვება.

მაღაროს კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმა შეასრულოს ვადაზე 15 დღით ადრე.



დაუვიწყარი დღეები

შეხვედრა სომეხ მეგობრებთან

მოძმე სომხეთის ჰოქტემბერიანის რაიონის სოფელ ნალბანდიანის კოლმეურნეობა არარატის ველზე მდებარეობს. მშვენიერი სანახავია ახლა სომხეთის ეს საუკეთესო მხარე.

განსაკუთრებით ლამაზი და მომხიბვლელი იყო არარატის ველი ამ დღეებში, როცა ნალბანდიანის კოლმეურნეობას მახარაძის რაიონის ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაცია ეწვია.

ნალბანდიანის კოლმეურნეობაში მისვლამდე ნორაპადის, სოფელ ჰოქტემბერიანის, ბამბაკაშიატის, ნორარმავირის კოლმეურნეობების მშრომელები გულთბილად შეხვდნენ ქართველ კოლმეურნეთა დელეგაციას.

დელეგაციაში შედიოდნენ: ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. წითლიძე (დელეგაციის ხელმძღვანელი), კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი ვ. მახარაძე, სოციალისტური შრომის გმირი მეჩაიე დ. ტაკიძე, აგრონომი ო. სიხარულიძე, მეჩაიე მ. გორგილაძე, კოლმეურნეები — შ. ბოლქვაძე, ვ. ნაკაიძე, ვ. კვაჭანტირაძე, ნატანების საშუალო სკოლის დირექტორი ა. მოქია, მოსწავლე ლ. მუავია და სხვ.

ოცი წელია გრძელდება სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის სოფელ ნატანებისა და სომხეთის სსრ ჰოქტემბერიანის რაიონის სოფელ ნალბანდიანის კოლმეურნეობებს შორის. ამ ორი კოლმეურნეობის წევრები ყოველწლიურად ამოწმებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას და ყოველივე კარგსა და ახალს ნერგავენ საკოლმეურნეო წარმოებაში.

ნალბანდიანის კოლმეურნეობის კლუბში მოეწყო ქართველ და სომეხ კოლმეურნეთა მეგობრობის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. ორი მოძმე რესპუბლიკის კოლმეურნეთა მიღწევების შესახებ ილაპარაკეს ნალბანდიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. დავთიანმა და ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. წითლიძემ.

— ამ ოცი წლის მანძილზე სოციალისტური შეჯიბრების დროშით, — ამბობს ა. დავთიანი, — დიდ წარმატებას მივაღწიეთ სოფლის მეურნეობის განვითარებაში. 1937 წელს ჩვენი კოლმეურნეობის შემოსავალი 436.000 მანეთს შეადგენდა, თვითეულ ჰექტარზე იკრიფებოდა 6,8 ცენტნერი ბამბა, 10 ცენტნერი ყურძენი. განვლილ პერიოდში კი ბამბისა და ყურძნის მოსავალი ჰექტარზე ოთხჯერ გაიზარდა. თუ 1937 წელს შრომადღეზე ფულად გაიცა 1 მანეთი და 25 კაპიკი, ამჟამად შრომადღის ღირებულებამ 20 მანეთს მიაღწია.

სიტყვებით გამოსულმა ქართველმა და სომეხმა კოლმეურნეებმა — დ. ტაკიძემ, ლ. აზარიანმა და სხვებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს. სოციალისტური შრომის გმირმა დ. ტაკიძემ თქვა:

— ჩვენი შეჯიბრების მეოცე წლისთავს ბევრი ნატანებელი მეჩაიე პირნათლად შეხვდა. სომხეთიდან დაბრუნებულნი გაორკეცებული ენერგიით ვიმუშავებთ. პირადად მე გეგმის გადამეტებით 800 კილოგრამ ჩაის ფოთოლს მოვკრეფ.

სომეხ მეგობრებთან ოთხი დღე დაჰყო ქართველ კოლმეურნეთა დელეგაციამ. პირველად ქართველი კოლმეურნეები ეწვივნენ „მეგობრობის ბაღს“.

„მეგობრობის ბაღს“ მეთერთმეტე ბრიგადის წევრები უვლიან. ამ ბრიგადის ხელმძღვანელმა მ. მანუკიანმა გვითხრა:

— კოლმეურნეები დიდი მზრუნველობით უვლიან ვაზს. აქ ყურძნის უხვი მოსავალია.

— წელს ჰექტარზე რამდენ ცენტნერ ყურძენს მიიღებთ? — ჰკითხა ბრიგადირს ნატანების კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ვ. მახარაძემ.

— სულ ვენახს 75 ჰექტარი უკავია. საშუალოდ ჰექტარზე 80 ცენტნერ ყურძენს მივიღებთ, — თქვა ბრიგადირმა მ. მანუკიანმა.

ვენახში 75 წლის მოხუცი ო. საფარიანი მოვიდა. მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი მზრუნველობით უვლის 3 ჰექტარ „მეგობრობის ბაღს“. ამ მოხუცმა დიდი სიხარულით თქვა, რომ აქ მოკრეფილი ყურძენი უკვე გაეგზავნათ ქართველ მეგობრებს ნატანებში.

ვენახში ყოფნის დროს „მეგობრობის ბაღის“ წინ ხალხმა მოიყარა თავი. გაიმართა სახელდახელო მიტინგი. მხურვალე ტაშის გრიალში გაიხსნა „მეგობრობის ობელისკი“, რომელზეც არის წარწერა ქართულ და სომხურ ენებზე — „მეგობრობის ბაღი“.

ბამბა ნალბანდიანის კოლმეურნეობის ძირითადი კულტურაა. იგი ამჟამად 532 ჰექტარს შეადგენს. უკვე გაჩაღდა კრეფა. საშუალოდ ჰექტარზე 30 ცენტნერ ბამბას კრეფენ.

ქართველ კოლმეურნეთა დელეგაციამ დიდხანს დაჰყო ბამბის პლანტაციაში. კოლმეურნეობის მოწინავე მერგოლურმა ქალმა ლ. აზარიანმა სტუმრებს უამბო:

— გასულ წელს 32 ჰექტარი ბამბის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე 30 ცენტნერი მოვკრიფეთ. წელს გადაწყვეტილი გვაქვს თვითეულ ჰექტარზე 35 ცენტნერი მივიღოთ.

დელეგაციამ შეამოწმა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიმდინარეობა, გამოირკვა, რომ ნალბანდიანელი კოლმეურნეები წარმატებით ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

სომეხმა მეგობრებმა დაუვიწყარი მასპინძლობა გაუწიეს ქართველ კოლმეურნეებს. ქართველი კოლმეურნეები იყვნენ ერევანში. აქ დელეგაცია მიიღო სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა გ. ოჰანესიანმა.

ქართველ კოლმეურნეთა მეხსიერებაში დიდხანს დარჩება სომხეთში გატარებული შესანიშნავი დღეები — ქართველ და სომეხ კოლმეურნეთა მეგობრობის მე-20 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი. სომხეთში ყოფნის დროს ქართველ კოლმეურნეთა გულში ახალი ძალით აღიღრდა სახიერადულო პოეტის აკაკი წერეთლის სიტყვები:

„შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა,
ორივე შვილი ერთი მიწა-წყლის,
ერთი მიდამოს და ერთი მთისა“.

ნ. ქინქლაძე,
„კომუნისტის“ კორესპონდენტი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: სომეხი კოლმეურნეები ხონჩით ხვდებიან ქართველ მეგობრებს.

ოქტომბრის ქარცეცხლში გამოვლილი

ვეტერანთა რელიკვიები რევოლუციის მუზეუმში

მოსკოვში ბევრია სხვადასხვა მუზეუმი, ბევრია მათი მნახველიც. განსაკუთრებით ბევრია მნახველი ახლა, როდესაც დღითიდღე ახლოვდება სახელოვანი თარიღი — დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავი. აგრეთვე უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანებში მუზეუმების ექსპოზიციებშიც ბევრი რამ ახალი გამოჩნდა.

ეს განსაკუთრებით შესამჩნევია რევოლუციის მუზეუმში, რომელსაც ამ საქმეში დიდად ეხმარებიან რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ვეტერანები. მათი დახმარებით მუზეუმის დარბაზები იავსება ახალი ექსპონატებით.

აი მუზეუმში მოვიდა ბალტიკის საბაზო გემის „ანდრეი პერვოზვანის“ ყოფილი ელექტრიკოსი დ. კოლტუნოვსკი. მან აქ მოიტანა თავისთვის ყველაზე ძვირფასი ორი საგანი — საბჭოთა ნიშანი ემბლემით და პატარა რევოლვერი. საჩუქრებთან ერთად მან მუზეუმს მოუტანა წერილი, რომლიდანაც შეიძლება გავიგოთ საინტერესო ამბები. მაგალითად, მუშურ-გლეხური წითელი არმიის საპატიო სამკერდე ნიშანი დ. კოლტუნოვსკის 1919 წელს მისცა ბიხოვის სამაზრო სამხედრო კომისარიატმა რევოლუციურ ამბებში კომუნისტური პარტიის მხარეზე აქტიური მონაწილეობისათვის.

საინტერესოა „ბრაუნინგის“ სისტემის № 16015 რევოლვერის ისტორია. ეს იარაღი მისი პირადი საკუთრებაა, მან იგი მოიპოვა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს. დ. კოლტუნოვსკიმ იგი წაართვა პოლიციის ოფიცერს. ამ ბრაუნინგით კოლტუნოვსკი მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მოძრაობაში კრონშტადტში, ზამთრის სასახლის იერიშში, მთავარი ტელეგრაფის აღებაში, სმოლნის დაცვაში, სადაც მუშაობდნენ დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი და მისი თანამებრძოლები.

რევოლუციის მუზეუმის ბევრ მნახველს, რასაკვირველია, დაინტერესებს ხმალი, რომელიც აქ მოიტანა ა. ოსინკინმა — კომუნისტური პარტიის წევრმა 1916 წლიდან. ერთი შეხედვით ხმალი ჩვეულებრივია, მასში თითქოს არაფერია განსაკუთრებული. მაგრამ მისი პატრონი მას სათუთად ინახავდა 1919 წლიდან. ეს გასაგებიც არის — ეს ხმალი მას ჩაუბარა ვალერიან ივანეს-ძე ჩაპაევმა იმ დროს, როცა სახელგანთქმული მეთაურის დივიზია ბრძოლებით გაიჭრა ჩიჟინის ტბორებისაკენ.

არასოდეს არ დავიწყდება მაშინდელ პოლიტმუშაკს ოსინკინს სიტყვები, რომლითაც მიმართა მას ლეგენდარულმა დივიზიის მეთაურმა — მიიღე ჯილდო საბრძოლო დამსახურებისათვის, გისურვებ შემდეგშიც წარმატებით დაგეცვას რევოლუციის მონაპოვრები. — ა. ოსინკინი მას შემდეგ ძალლონეს არ ზოგავდა, რომ ღირსეულად შეესრულებინა ეს მოწოდება. სადაც არ უნდა გაეგზავნა იგი პარტიას, ოსინკინი ღირსეულად ართმევდა თავს მისთვის მინდობილ საქმეს. ა. ოსინკინი იყო საკ. კპ (ბ) სრულიად რუსეთის კონფერენციის დელეგატი 1920 წელს. იგი იყო ბამბეულისა და სელის ფაბრიკების ივანოვო-ვოზნესენსკის გაერთიანების გამგეობის წევრი, იაროსლავლის საოლქო სამხედრო კომისარიატის განყოფილების გამგე, მოსკოვის საგუბერნიო აღმასკომის წევრი, ასწავლიდა სამხედრო აკადემიაში, ხოლო 1952 წელს გადავიდა პენსიაზე.

ხმალთან ერთად ა. ოსინკინმა სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმს გადასცა აგრეთვე მთელი თავისი პირადი არქივი, რომელშიც ბევრია ისტორიულად დიდად საინტერესო დოკუმენტი.

რევოლუციისა და სამოქალაქო ომის დროის ბევრი დოკუმენტი მოიტანა მუზეუმში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრმა 1917 წლიდან პ. ჟიდაკოვმა. ხოლო კოტოვსკის განსაკუთრებული ცხენოსანი ბრიგადის ყოფილმა უფროსმა კ. იუცევიჩმა მუზეუმს ჩააბარა საველე ჩანთა და დიდი საზღვაო რევოლვერის ყვითელი ჩალითა.

ნ. კინგინმა, პარტიის წევრმა 1906 წლიდან, რევოლუციის მუზეუმს მოუტანა საჩუქარი — ჟურჭელი, რომლითაც სასადილოდან ცხელი საჭმელი დაიქნევ. ამ ექსპონატის ამბავი მეტად საინტერესოა. ამაზე წერს მისი ყოფილი პატრონი.

„1906 წელს 19 რკინიგზელი სოციალ-დემოკრატი, მათ შორის მეც, დააპატიმრა პოლიციამ. ჩვენი მუდმივი საზრუნავი იყო ციხიდან ჩვენიანებთან კავშირის დამყარების საიმედო საშუალების გამონახვა. ნებადართული იყო ციხეში საჭმლის გადმოცემა. პირველად დედაჩემს სადილები მოჰქონდა ლელის დაწნული ჩანთით, რომლის სარჩულშიც დებდნენ ბარათებს; გაზეთებს მიხვევდა ტყვიის ქაღალდში, რომელშიც გახვეულია ხოლმე ჩაი, და სუფში უშვებდა. მაგრამ ყველაფერი ეს საიმედო არ იყო.

აი, როდესაც მარტო ვიჯექი საკანში და ვფიქრობდი, უკეთ როგორ დავკავშირებოდი ჩვენიანებს, აზრად მომივიდა გამეკეთებინა ორფსკერიანი ქვაბი, რომელსაც ექნებოდა მისახახლი მეორე ფსკერი. ჩემი თხოვნით დედამ დაამზადებინა ასეთი ქვაბი და მასში დებდა წერილებს, გაზეთებს, ერთი სიტყვით ყველაფერს, რაც პატიმრებს სჭირდებოდათ. ხოლო ციხიდან ასეთივე წესით მიდიოდა კონსპირაციული წერილები“...

რევოლუციის მუზეუმის ახალ ექსპონატებს შორის არის გაყვითლებული ფოტოსურათი, რომელიც გადაღებულია 1914-1915 წლებში ტურუხანსკის მხარეში. ამ სურათზე არიან ი. ბ. სტალინი, ი. მ. სვერდლოვი, გ. ი. პეტროვსკი, სურენ სპანდარიანი და სხვა ბოლშევიკები, რომლებიც გადასახლებული იყნენ ციმბირში მეფის ოხრანკის მიერ. ეს იშვიათი ფოტოსურათი მუზეუმმა მიიღო ძველი კომუნისტის ბ. ივანოვისაგან.

კიდევ ბევრი ასეთი ძვირფასი რელიკვია, ვეტერანების საჩუქარი მოდის სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმში, და თვითეული მათგანი მოგვაგონებს სახელოვან საბრძოლო საქმეებს ძველი ბოლშევიკებისას, რომლებიც იმ შორეულ წლებში იბრძოდნენ დიადი ლენინური პარტიის საქმის გამარჯვებისათვის.

ს. რიჟინაშვილი.

მოსკოვი.

ჩვენი ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის გზით

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

როგორც სამრეწველო წარმოების, ისე ელექტროფიკაციის დარგში მეფის რუსეთი უაღრესად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, სხვა სახელმწიფოთა შორის მეთხუთმეტე ადგილზე იდგა. 1913 წელს ელექტროენერგიის წარმოება თვითეულ სულ მოსახლეზე შეადგენდა დაახლოებით 14 კილოვატსაათს. ეს 17-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში და 5-ჯერ ნაკლები, ვიდრე გერმანიაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი თვეებიდანვე საბჭოთა მთავრობამ ენერგიული მუშაობა გააჩაღა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარებისათვის და ელექტროფიკაციის საქმეს მეტად სერიოზული ყურადღება დაეთმო. ვ. ი. ლენინის ინიციატივით შედგენილი გოელროს გეგმა კომუნისტურმა პარტიამ მიიღო როგორც თავისი საბრძოლო პროგრამა. ამ გეგმით გათვალისწინებული იყო 10-15 წლის მანძილზე 1,5 მილიონი კილოვატის სიმძლავრის 30 ელექტროსადგურის აგება და არსებულის სიმძლავრის 1,75 მილიონ კილოვატამდე აყვანა. ეს სამუშაო სულ მოკლე დროში შესრულდა და გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები შემდგომ წარმატებათა მოსაპოვებლად.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 40 წლის მანძილზე ელექტროენერგიის გამომუშავება ჩვენს ქვეყანაში 350-ჯერ გაიზარდა. ამ მხრივ სსრ კავშირი ახლა მსოფლიოში მეორე ადგილზე დგას, ხოლო ევროპაში — პირველზე. ჩვენი ელსადგურები დღეღამეში იძლევიან იმდენ ენერგიას, რამდენსაც იძლეოდა ჩვენი ქვეყანა მთელი 1920 წლის განმავლობაში. 1955 წელს გამოვიმუშავეთ მეტი ენერგია, ვიდრე ინგლისის, საფრანგეთის, შვეიცის, დანიის ყველა ელექტროსადგურმა.

ელექტროფიკაციის საქმე განსაკუთრებით სწრაფი ტემპით წავიდა წინ დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში. აღვადგინეთ მტრის მიერ დანგრეული ყველა სადგური და ავაშენეთ ისეთი მძლავრი ენერგეტიკული ბაზები, როგორიც არის შჩერბაკოვის, ფარჰადის, ხრამის, სოხუმის, კრასნაია პოლიანის და სხვა ჰიდროელექტროსადგურები. 1950 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება 1940 წელთან შედარებით გაიზარდა 87 პროცენტით, ხოლო მეხუთე ხუთწლედში — გეგმით გათვალისწინებულზე 8 პროცენტით მეტად. მწყობრში ჩადგა ციმლიანსკის, გიუმუშის, ზემო სვირის, მინგეჩაურის, კახოვკის პირველი რიგისა და კამის ჰიდროელექტროსადგურები. 1955 წლის ბოლოს სამრეწველო დენი მოგვცა კუიბიშევჰესის პირველმა აგრეგატმა. ამ წარმატებებმა დიდად შეუწყო ხელი ჩვენს ქვეყანას ტექნიკური პროგრესის მიღწევაში.

სერიოზული სამუშაოებია შესრულებული თბოელექტროსადგურების ქსელის გასაფართოებლად. ურალზე, კუზბასში, სამხრეთსა და ცენტრალურ რაიონებში აშენდა მირონოვსკის, სლავიანსკის, სამხრეთ კუზბასის, ჩერეპეტის სადგურები, რომელთა სიმძლავრე 1.600 ათას კილოვატს აღემატება. ისინი აღჭურვილი არიან მძლავრი, გაუმჯობესებული თანამედროვე დანადგარებით. გაიზარდა თბოელექტროცენტრალების რაოდენობა. მათ მიერ გამომუშავებულ ენერგიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის ენერგეტიკის ბალანსში.

საბჭოთა ენერგეტიკოსები დაუღალავად სრულყოფენ ტექნიკას, აიარაღებენ ენერგეტიკულ ბაზებს მეცნიერების უახლესი მონაპოვრებით. განსაკუთრებული წარმატებებია მოპოვებული უკანასკნელ წლებში: 1954 წლის 27 ივნისს სსრ კავშირში მწყობრში ჩადგა მსოფლიოში პირველი ატომის ელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე 5 ათასი კილოვატია. სადგური დღეღამეში ხარჯავს 30 გრამ ურანს. წლინახევრის განმავლობაში საწარმოებისა და კოლმეურნეობებისათვის აქ გამომუშავებულია 20 მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია, რომლის მიღებას დაახლოებით 15 ეშელონი ქვანახშირი მოუნდებოდა. საბჭოთა მეცნიერები დაუღალავად განაგრძობენ მუშაობას ახალი, უფრო მძლავრი ატომის ელექტროსადგურების ასაშენებლად.

ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის შემდგომი აღმავლობის დარგში ბევრრამ კეთდება მეექვსე ხუთწლედში. პარტიის XX ყრილობამ დაადგინა გაძლიერდეს ქვეყნის ელექტროფიკაცია და ელექტროენერგიის გამომუშავება 1960 წლისათვის გაიზარდოს 320 მილიარდ კილოვატსაათამდე. ეს გოელროს გეგმით გათვალისწინებულზე 36-ჯერ მეტია. ხუთწლედში აიგება 400 მძლავრი ელექტროსადგური, მათ შორის დამთავრდება ისეთი გიგანტები, როგორიც არის კუიბიშევჰესი და სტალინგრადჰესი; მსოფლიოში უდიდესი — ბრატსკისა და კრასნოიარსკის ელექტროსადგურები, რომელთა საერთო სიმძლავრე 7 მილიონ კილოვატს მიაღწევს. მწყობრში ჩადგება ბევრი თბოსადგური, თბოელექტროცენტრალი და ატომის ელექტროსადგური.

განსაკუთრებით ფართო მასშტაბით წარმოებს ელექტროსადგურების მშენებლობა აღმოსავლეთ რაიონებში, სადაც თავმოყრილია სსრ კავშირის ჰიდრორესურსების 80 პროცენტი და ქვანახშირის მარაგის 75 პროცენტი. განზრახულია 1960 წლისათვის აღმოსავლეთ რაიონებში გამომუშავებულ იქნას 130 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, თითქმის იმდენი, რამდენიც მთელ ჩვენს ქვეყანაში 1953 წელს. ახლო მომავალში მდინარეები ობი, ენისეი, ანგარა, ლენა და ამური შენაკადებიანად წელიწადში მოგვცემენ 700 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას. ამ მდინარეების წყლის ენერგიის მარაგი მნიშვნელოვნად აღემატება ჰიდროენერგიით მდიდარი ისეთი კაპიტალისტური ქვეყნების რესურსებს, როგორიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და იაპონია.

საუკეთესო ტექნიკურ ეფექტს იძლევა ელექტროსადგურების ერთიან ენერგოსისტემაში გაერთიანება. ეს ამცირებს ენერგიის თვითღირებულებას და უზრუნველყოფს მისი მომარაგების შეუწყვეტლობას. ჩვენს ქვეყანაში 50-ზე მეტი რაიონული ენერგოსისტემაა. უკანასკნელ წლებში შეიქმნა ენერგეტიკული სისტემების მძლავრი სარაიონთაშორისო გაერთიანებანი. ელექტროფიკაციის შემდგომი განვითარება იძლევა სსრ კავშირის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის შექმნის შესაძლებლობას.

ერთიანი ენერგეტიკული სისტემის არსებობით სინამდვილედ იქცევა ლენინის იდეა ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის შესახებ. ის შექმნის სახალხო მეურნეობაში ელექტროენერგიის ეფექტიანი გამოყენების ყველა პირობას, სერიოზულად შეუწყობს ხელს ჩვენს ქვეყანაში ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტას, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადებას.



ელექტროენერგიის გამომუშავება სსრ კავშირში (მილიარდ კილოვატსაათებში)

გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის მრავალი ფეიქარი ყოველდღიურად ახალ წარმატებებს აღწევს საოქტომბროდ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის ბრძოლაში. მათ შორის განსაკუთრებით დაწინაურდა სართავი ფაბრიკის მოსამზადებელი საამქროს მოწინავე ფეიქარი ეთერი ნაჩიროვი, რომელიც სალენტე მანქანაზე მუშაობს, იგი ყოველდღიურ დავალებებს 130-140 პროცენტით ანადღებს. სურათზე: ე. ნაჩიროვი ამოწმებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

ფოტო შ. კუკულავასი

პროპაგანდისტები ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდისა და მშრომელი მასების კომუნისტურად აღზრდის მძლავრი კერაა, თავისი ძვირფასი დოკუმენტებითა და თვალსაჩინოებით დიდ დახმარებას უწევს ჩვენი რესპუბლიკის პროპაგანდისტებს, სემინარებსა და წრეებში გაერთიანებულ მსმენელებს და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმა, შემოქმედებით შესწავლაში.

ამ დღეებში საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან და პარტიის თბილისის კომიტეტთან არსებული პროპაგანდისტთა ერთთვიანი გადასამზადებელი კურსების მსმენელებმა ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში მოისმინეს მომხილვითი ლექციები.

მუზეუმის ლექტორების: ა. სუხიშვილის, ქ. გიორგობიანის, ზ. აკუბაძენოვის და ვ. ლობჟანიძის ლექცია-ექსკურსიები საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის შემქმნელის ვ. ი. ლენინის ცხოვრების, რევოლუციური მოღვაწეობისა და კომუნისტური პარტიის გმირული წარსულის შესახებ მეტად შინაარსიანი იყო.

მუზეუმში მოეწყო ექსკურსანტ-პროპაგანდისტების შეხვედრა ძველ ბოლშევიკებთან, ოქტომბრის რევოლუციის აქტიურ მონაწილეებთან ნ. ალაჯალოვასთან, დ. სულიაშვილთან და მ. წერეთელთან.

პროპაგანდისტებს მუზეუმის კინოდარბაზში უჩვენეს დოკუმენტალური კინოფილმი „ვ. ი. ლენინი“.

შ. გოგბიძე,
ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის სალექციო-საექსკურსიო ბიუროს გამგე.

მეცნიერები ემზადებიან დიადი თარიღისათვის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებანი გაცხოველებით ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის შესახვედრად.

აკადემიის ინსტიტუტების ყოველდღიური შრომების მორიგი ტომები მიეძღვნება ოქტომბრის რევოლუციის დიად თარიღს. მზადდება საერთო ბიბლიოგრაფია აკადემიის ყველა გამოცემისა. გამოდის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მომზადებული სპეციალური კრებული, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი.

ოქტომბერში აკადემიის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა და ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილებები ცალცალკე მოაწყობენ საზეიმო სამეცნიერო სესიებს. სესიებს ან სამეცნიერო საბჭოს სხდომებს, მოაწყობენ აგრეთვე აკადემიის ინსტიტუტები, მათ შორის გამოსვლელ სესიებს ბათუმში, დუშეთსა და ქუთაისში.

გარდა ამისა, ოქტომბერში ერევანში გაიმართება სომხეთის სსრ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული სესია, რომელზეც ორივე აკადემიის მეცნიერი თანამშრომლები წაიკითხავენ მოხსენებებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში მოეწყობა აკადემიის მიერ გამოცემული შრომების გამოფენა. ნავარაუდევია აგრეთვე მოეწყოს აკადემიის მაჩვენებლების, მისი სტრუქტურისა და დარგების განვითარების მოძრავი გამოფენა.

ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ჩატარდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი აკადემიის საზეიმო საერთო კრება, რომელზეც წაკითხულ იქნება მთელი რიგი საინტერესო მოხსენებები.

უფრო ფართოდ გავშალოთ მუშსოფლკორთა მოძრაობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ განიხილა საკითხი აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მუშა და სოფლის კორესპონდენტებთან მუშაობის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ სკკპ XX ყრილობის შემდეგ საქართველოს სსრ ჟურნალების მეტს ზრუნავენ იმისათვის, რომ განავითარონ მუშსოფლკორთა მოძრაობა, რომელიც პარტიას ყოველთვის მიაჩნდა მასებთან პრესის კავშირის განმტკიცების ძირითად საშუალებად. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად მუშა და სოფლის კორესპონდენტებთან მუშაობა რამდენადმე გაუმჯობესდა. აღდგენილია და მტკიცდება გაზეთების კავშირი მათთან. გაზეთები მართავენ თათბირებს მუშსოფლკორებთან, აწყობენ სემინარებს, მუშსოფლკორთა რეიდებს. მთელ რიგ რედაქციებში შექმნილია კაბინეტები, სადაც თავმოყრილია მთელი მასობრივი მუშაობა მუშა და სოფლის კორესპონდენტებთან.

რესპუბლიკაში ყველგან გაიმართა მუშსოფლკორთა საქალაქო და რაიონული კონფერენციები, ხოლო 1957 წლის თებერვალში საქართველოს მუშსოფლკორთა ყრილობა, რომელიც იმის მკაფიო დემონსტრაცია იყო, თუ რა დიდ ძალას წარმოადგენს მუშსოფლკორთა არმია.

ყრილობის შემდეგ საქართველოს საოლქო, საქალაქო და რაიონულმა გაზეთებმა რამდენადმე გაუმჯობესეს თავიანთი მუშაობა მუშა და სოფლის კორესპონდენტებთან.

მუშა და სოფლის კორესპონდენტებთან მუშაობას მეტ ყურადღებას უთმობენ გაზეთების „სოვეტსკაია აბხაზიას“, „ავანგარდის“ (გაგრის რაიონი), „სტალინელის“, (ქ. გორი), „ლენინის დროშის“ (მახარაძე), „მებრძოლის“ (ზუგდიდი), „ტყიბულის მაღაროელის“, „ახალი შირაქის“ (წითელწყარო), „ქობულეთელი კოლმეურნის“ და სხვ. რედაქციები. გასულ წელთან შედარებით ამ გაზეთებმა გააფართოეს მუშსოფლკორთა რიგები, უფრო ხშირად იყენებენ პრესაში რედაქციის გარეშე აქტივის მასობრივი მონაწილეობის ისეთ ფორმას, როგორიც არის მუშსოფლკორთა რეიდები.

მაგრამ საერთოდ საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებმა ვერ შეძლეს მუშსოფლკორებთან იმ კავშირის განმტკიცება, რომელიც დამყარდა ყრილობისათვის მზადების პერიოდში, ვერ აღწევენ მათს უფრო აქტიურ მონაწილეობას იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც პრესას დაუსახა სკკპ XX ყრილობამ.

მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში (მარტი-აგვისტო) აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გაზეთების ბევრი ნომერი გამოვიდა ისე, რომ მათში მონაწილეობა არ მიუღიათ მუშა და სოფლის კორესპონდენტებს. განსაკუთრებით მცირე ყურადღებას უთმობენ მუშსოფლკორებს გაზეთების „საბჭოთა აფხაზეთის“, „პიოლექტივ ჯას“ (გუდაუთის რაიონი), „ახალი თაანეთის“, „კოლექტიური შრომის“ (მესტია), „საბჭოთა სოფლის“ (აბაშა), „ლენინსკი პუტის“ (წალკა), „ადიგენის კოლმეურნის“, „ქარელის კოლმეურნის“ და სხვ. რედაქციები. ნახევარი წლის განმავლობაში გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა მუშსოფლკორთა წერილების მხოლოდ ხუთი პატარა განყოფილება. გაზეთებს „აფსნი ყაფშს“, „საბჭოთა აფხაზეთსა“ და „სოვეტსკაია აბხაზიას“ დღემდე არ შეუქმნიათ მუშა და სოფლის კორესპონდენტების საგუშაგოები მეტწილ საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ის გარემოება, რომ საქართველოს სსრ წამყვან საწარმოებში გაზეთებს არა ჰყავთ აქტორი, ფართო აქტივი და რომ ავტორები სუსტად მონაწილეობენ გაზეთებში, აღარიბებს თემატიკას, გავლენას იხდენს გაზეთების შინაარსზე, რომლებიც ხშირად ზერელედ აშუქებენ მრავალფეროვან, დიდი და საინტერესო პატიოსანი საქმეებით აღსავსე საბჭოთა ცხოვრებას.

საქართველოს საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციები ყოველთვის როდი უთმობენ საკმაო ყურადღებას თავიანთ მუშსოფლკორთა აქტივს. მთელი რიგი რედაქციების მუშსოფლკორთა შორის ბევრია საშუალო სკოლის მოსწავლე, ხოლო კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ძალიან ცოტანი არიან.

მუშა და სოფლის კორესპონდენტთა შემადგენლობის გაფართოებისა და გაუმჯობესების მიზნით საჭიროა, რომ საქართველოს საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებმა გაზეთებში მონაწილეობისათვის მოიზიდონ წარმოების მოწინავეები და ნოვატორები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

საოლქო და რაიონული გაზეთების რედაქციების სოფლის მეურნეობის განყოფილებები სოფლკორთა დახმარებით არ აყენებენ საკითხებს იმის შესახებ, რომ განხორციელდეს ფართო ღონისძიებები მყარი მოსავლის მიღებისათვის ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, არ რაზმავენ თავიანთ სოფლკორებს იმისათვის, რომ გააშუქონ სოფლის მეურნეობის მშრომელთა ბრძოლა ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძის, კარაქის წარმოების გასაოდიდებლად.

ამავამად ღირსშესანიშნავი თარიღისათვის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავისათვის მზადების დღეებში — მუშსოფლკორებს მუდამ უნდა ვაბამდეთ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებაში.

ზოგიერთი გაზეთის რედაქციებში დღემდე ვხედებით მუშსოფლკორთა მასალებისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულების ფაქტებს. იშვიათი როდია შემთხვევები, როცა მათი მასალები თვეობით დევს განყოფილებებში. მთელი რიგი რაიონული გაზეთების რედაქციები, როგორც წესი, პასუხს არ იძლევიან მუშსოფლკორთა წერილებზე. ამის შედეგად ზოგერთმა მათგანმა გაზეთებში წერა შეწყვიტა.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში „საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური გაზეთების შტატების შესახებ“ აღნიშნა: „საკუთარი კორესპონდენტების ძირითად ამოცანად ჩათვალოს გაზეთის გარშემო რედაქციის გარეშე ფართო აქტივის დარაზმვა, გაზეთში სამუშაოდ მონაწილეობისათვის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაკების, საბჭოთა ინტელიგენციის, მუშა და სოფლის კორესპონდენტების მოზიდვა“.

რესპუბლიკური და საოლქო გაზეთების საკუთარი კორესპონდენტები მოწოდებული არიან იყონ თავიანთ რაიონებში მუშსოფლკორთა მოძრაობის ორგანიზატორები. მაგრამ ბევრი მათგანი ამ სამუშაოს ყურადღებას არ აქცევს. ხოლო მუშკორებთან და სოფლკორებთან პირადი ურთიერთობა, უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანებზე საქმიანი და გულისხმიერი საუბარი იმის საუკეთესო საშუალებაა, რომ აქტივი ჩავაბათ გაზეთისათვის კორესპონდენციების მოწოდების საქმეში. საკუთარი კორესპონდენტები პირადად უნდა იცნობდნენ გაზეთის აქტივს თავიანთ რაიონში, მუდმივად ჰქონდეთ კონტაქტი მუშსოფლკორებთან, იყონ მათი მეგობარი და მრჩეველი.

რესპუბლიკის ბევრი გაზეთის რედაქციები ჯერ კიდევ არასაკმაოდ ეხმარებიან მუშა და სოფლის კორესპონდენტებს; მუშსოფლკორთა შემოქმედებითი სემინარები და თათბირები შემთხვევიდან შემთხვევამდე ეწყობა; მთელ რიგ რედაქციებში მოწყობილი არ არის მუშსოფლკორთა კაბინეტები ან კუთხეები მასობრივი მუშაობისათვის.

რედაქციები ჯეროვნად არ ეყრდნობიან მუშა და სოფლის კორესპონდენტებს, საკმაოდ არ იყენებენ მათ მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისა და განზოგადებისათვის, ხარვეზებს უშვებენ ეკონომიკისა და კულტურის განვითარების კონკრეტული საკითხების გაშუქებაში, ხოლო ამის შედეგად მასალები არასაინტერესო ხდება, რაც, კერძოდ, მთელ რიგ გაზეთებზე ხელმოწერის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი იყო.

საქართველოს რესპუბლიკური და საოლქო გაზეთები ჯეროვან დახმარებას არ უწევენ რაიონულ გაზეთებს მუშსოფლკორთა მოძრაობის განვითარებაში. მაგალითად, უკანასკნელ წელს საოლქო გაზეთების ფურცლებზე არ ყოფილა არც ერთი მიმოხილვა რაიონული პრესის მუშაობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ მოგვიწოდა გაბედულად და ფართოდ გავაჩაღოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, გავაძლიეროთ ხალხის მასების აქტივობა და თვითმოქმედება, რომლის გამოვლინების ერთ-ერთი მკაფიო ფორმაა მუშსოფლკორთა მასობრივი მოძრაობა.

მუშსოფლკორები გაბედულად და პრინციპულად გამოთქვამენ თავიანთ აზრებს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის სრულყოფის, ადგილებზე საქმის ვითარების შესახებ, იძლევიან სიგნალებს საწარმოთა, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევებზე, ბოროტმოქმედებებზე. თავიანთი კრიტიკის მახვილს ისინი მიმართავენ წარსულის გადმონაშთების კონკრეტულ მატარებელთა — ბიუროკრატთა, საქმის გამჭიანურებელთა, მექრთამეთა, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დამრღვევთა წინააღმდეგ.

მაგრამ ბევრი გაზეთის რედაქციები სუსტად უზრუნველყოფენ მუშსოფლკორთა კრიტიკული გამოსვლების ქმედითობას. გაზეთების ბევრი კრიტიკული გამოსვლა არ იწვევს გამოხმაურებას ცალკეული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მხრივ.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ბევრი პარტიული ორგანიზაცია ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს მუშსოფლკორთა მოძრაობის განვითარების საკითხებს, მუშსოფლკორთან მთელი მუშაობა მათ მხოლოდ გაზეთების რედაქციებს დააკისრეს.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რა მუშსოფლკორთა მოძრაობის შემდგომ განვითარებას, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა იმის აუცილებლობა, რომ გაზეთების რედაქტორები და სარედაქციო კოლეგიების წევრები პირადად ხელმძღვანელობდნენ მუშსოფლკორებთან მუშაობას, გულმოდგინედ, სისტემატურად ადევნებდნენ თვალყურს რედაქციაში შემოსულ წერილებს, აქვეყნებდნენ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანს. მუშაობა ისე უნდა მოეწყოს, რომ რედაქციაში შემოსული არც ერთი წერილი უპასუხოდ არ დარჩეს. წერილები, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც ნაკლოვანებათა კრიტიკას შეიცავენ, დაუყოვნებლივ უნდა იგზავნებოდეს შესამოწმებლად. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ დაწესებულებები და ორგანიზაციები დროულად იძლეოდნენ პასუხს ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის რეალურად მიღებულ ღონისძიებათა შესახებ.

გაზეთების რედაქციები პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში უნდა ქმნიდნენ მუშსოფლკორთა საგუშაგოებს, ბრიგადებს, ჰერიოდულად აწყობდნენ მუშსოფლკორთა რეიდებს.

მასებთან, მკითხველებთან მჭიდრო კავშირი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული აქტივის შემადგენლობიდან, მუშები

განახლებული ცხოვრების გზაზე

ყოველწლიურად იზრდება და ფართოვდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი მესტიის რაიონში. აქ ამჟამად 28 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, მათ შორის 12 სასოფლო კლუბი, 6 სასოფლო ბიბლიოთეკა, ერთი რაიონული ბიბლიოთეკა, 1 საბავშვო ბიბლიოთეკა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, კულტურის 2 სახლი და სხვ.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება შორეული სოფლების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, ახალი ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების მშენებლობისათვის.

სოფელ ხაიში ორი კოლმეურნეობაა, საკმაოდ დიდია მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა. აქ უკანასკნელ დრომდე არ იყო კულტურის სახლი, ხოლო ადგილობრივი კლუბი მშრომელთა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. წელს სოფელში გაიხსნა კულტურის სახლი. მშრომელები კულტსახლის გახსნას დიდი ზეიმით შეხვდნენ. ამჟამად აქ ეწყობა ლექციები და მოხსენებები, ლიტერატურული საღამოები, მკითხველთა კონფერენციები, ატარებენ კინოსეანსებს და სხვ.

წელს შორეულ სოფელ ქვედა იფარში, ორმელეთის სატყეო უბნებში და ბეჩოს სასოფლო საბჭოს სოფელ უშხვანარში გაიხსნა სასოფლო ბიბლიოთეკები.

დიდი ყურადღება ექცევა ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების შევსებას მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურით, ბროშურებითა და ჟურნალ-გაზეთებით. მარტო წელს რაიონის ბიბლიოთეკები, სამკითხველოები და წითელი კუთხეები დამატებით შეივსება 60 ათასზე მეტი მახეთის ლიტერატურით.

მშრომელთა კულტურული მომსახურება კარგად მოაწყეს ბეჩოს, ეცერის, ფარის, იფარის, ლატალისა და სხვა სასოფლო კლუბებში. კარგად მუშაობენ ადრეთვე ლენჯერის და მუჟალის სასოფლო სამკითხველოები. ამ დაწესებულებათა მუშაკებმა ნ. კვიციანმა, დ. გერლიანმა, ფ. გულბანმა, თ. რატიანმა, ს. გულედანმა საკლუბო მუშაობაში აქტიურად ჩააბეს სოფლის ახალგაზრდობა, გაშალეს თვითმოქმედი წრეების მუშაობა. ამის შედეგად მხატვრული თვითმოქმედი წრეების საშუალებით სისტემატურად ეწყობა საღამო-წარმოდგენები და კონცერტები. საკლუბო დაწესებულებებთან შექმნილი აგიტმხატვრული ბრიგადების საშუალებით ხშირად იმართება გასვლითი კონცერტები საკოლმეურნეო ბრიგადებში, მეცხოველეობის ფერმებში და საძოვრებზე. მხატვრული ბრიგადები მწყემსებს უჩვენებენ წარმოდგენებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მუჟალის, ლენჯერის და ბეჩოს საკლუბო დაწესებულებებთან შექმნილი აგიტმხატვრული ბრიგადების ნაყოფიერი მუშაობა.

გ. ნოდია.

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საპატიო და სასახელო საქმე

თბილისის ლენინის რაიონის გამწვევ პუნქტში

საგანგებოდ მოურთავთ პლეხანოვის სახელობის კლუბი, რომელშიც ლენინის რაიონის სამხედრო კომისარიატის გამწვევი პუნქტია მოთავსებული.

შესასვლელში გამოკრულია ლოზუნგები: „სამხედრო სამსახური სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში წარმოადგენს სსრ კავშირის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობას“, „საშობლოს დაცვა სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა“.

რაიონის სამხედრო კომისარიატის მუშაკებმა დროულად შეასრულეს მოსამზადებელი სამუშაოები და ახლა ორგანიზებულად მიმდინარეობს გაწვევა.

მართალია კლუბის მოზრდილი შენობა მთლიანად წვევამდელების განკარგულებაშია, მაგრამ ახალგაზრდებს მაინც ლამაზად გაფორმებული აგიტპუნქტი იზიდავს. ისინი აქ ყოველდღიურად იკრიბებიან. აი ახლაც ოთახის ერთ კუთხეში ახალგაზრდები შეჯგუფებულან და ინტერესით კითხულობენ სამხედრო ფიცს, საუბრობენ, ზოგნიც ჭადრაკსა და შაშს თამაშობენ, წვევამდელთა ერთი ჯგუფი კი ინტერესით ათვალიერებს სპეციალურ სტენდებს, რომლებიც მნახველებს მოუთხრობენ საბჭოთა არმიის გმირულ ბრძოლებზე, მის სახელოვან წარსულზე.

აგიტპუნქტში წვევამდელთათვის რეგულარულად წარმოებს პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა. პარტიის რაიკომის პროპაგანდისტები და სათადარიგო ოფიცრები სისტემატურად მართავენ მიმზიდველ საუბრებს. სამშობლოს სადარაჯოზე მიმავალი ჭაბუკები ხალისით ისმენენ ლექციებს: „ძირეული განსხვავება ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალებისა კაპიტალისტური ქვეყნების ჯარებისაგან“, „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები სოციალისტური სახელმწიფოს საიმედო დამცველია“, „საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გაძარჯვება დიდ სამამულო ომში“ და სხვ.

სპეციალურ ოთახში წვევამდელები საექიმო კომისიას გადიან. აი დერეფანში მორიგე ოფიცრის ნაცნობი ხმა გაისმა, და კიდევ სამი ჭაბუკი წარსდგა საექიმო კომისიაზე.

ტანდაბალი ვაჟი, რომელიც ოცი წლისა თუ იქნება, გულდასმით გასინჯეს ექიმებმა.

— ნ. ხორიაშვილი ვარგისია საბჭოთა არმიის რიგებში გასაგზავნად. საექიმო კომისიამ ჯანმრთელებად ცნო აგრეთვე ბ. რეინგოლდი და რ. გეურქოვი.

— რომელ ნაწილში გსურთ ჩაგრიცხოთ? — შეეკითხა კომისიის თავმჯდომარე პოდპოლკოვნიკი ლობკანიძე ჭაბუკებს.

— საავტომობილო ნაწილში — უპასუხა ნ. ხორიაშვილმა, რომელმაც ამას წინათ დაამთავრა „დოსააფის“ საავტომობილო კლუბის საშოფრო კურსები, იგი მესამე კლასის მძღოლია. მისი თხოვნა დაკმაყოფილეს.

რეინგოლდი მისივე სურვილით რადიოტექნიკურ ნაწილში ჩარიცხეს, გეურქოვი კი სამხედრო-საჰაერო ძალებში.

საექიმო ოთახიდან რიგრიგობით გამოდიან სახეგაბრწყინებული ახალგაზრდები. რაოდენ საპატიო და სასახელოა იყო ჩვენი დიადი სამშობლოს დამცველთა რიგებში.

მ. ჯიჯინაძე.

ჩაის ფოთლის დამზადება

(„საქართველოს ჩაის“ ტრესტის 1957 წლის 26 სექტემბრის ცნობებით)

რაიონები	გეგმის შესრულება % -ობით წლიურისა					
		სექტემბრისა				
		წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით				
ბათუმის	104,2	140,6	სამტრედიის	74,6	18,0
ქობულეთის	91,7	58,4	წულუკიძის	68,2	26,1
ქედის	94,3	53,1	ქუთაისის	72,2	15,0
სულ აჭარაში	94,9	70,7	წყალტუბოს	84,9	32,4
გალის	77,5	25,2	ტყიბულის	86,8	30,3
ონამჩირის	82,2	19,7	ცხაკაიას	72,0	21,9
გულრიფშის	82,4	8,6	აბაშის	50,3	1,1
სოხუმის	87,2	26,1	გეგეჭკორის	92,8	63,6
გუდაუთის	64,4	2,4	ზუგდიდის	80,9	33,5
სულ აფხაზეთში	77,9	20,3	წალენჯიხის	96,9	72,1
მახარაძის	85,9	37,8	ჩხოროწყუს	96,1	74,3
ჩოხატაურის	77,9	12,8	ხობის	89,6	43,0
ლანჩხუთის	88,1	38,9	თერჯოლის	75,9	1,1
			ზესტაფონის	58,0	—
			ჭიათურის	98,8	7,5
			ვანის	110,0	10,0
			სულ საქართველოს სსრ-ში	**85,0**	**38,5**

აჭარის მხატვართა კავშირში მოხდა შ. ხოლუაშვილის ნახატის „ხორუმის“ განხილვა.

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): სურათის ავტორი შ. ხოლუაშვილი, აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. იმნაიშვილი, მხატვრები გ. მეგრელიძე, შ. ზამთარაძე, ვ. კვერნაძე.

ფოტო ხ. ონანოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

წერილები რედაქციას

დავიცვათ ისტორიული ადგილები

ხაშურის რაიონში არის პატარა სოფელი ტაშისკარი, რომელიც განთქმულია თავისი ისტორიული წარსულით, როგორც გიორგი სააკაძის ბრძოლების ასპარეზი. ამის გარდა ტაშისკარი თავისი ჰავით ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო კურორტად, სადაც ზაფხულობით ბევრი პიონერბანაკი ეწყობა.

ტაშისკარის კოლმეურნეობის კანტორიდან 60 მეტრის დაშორებით დგას ათას წელზე მეტი ხნის ორი ძირი წაბლის ხე და ერთი კაკლის ხე. როგორც გადმოცემით ვიცით, გამარჯვების შემდეგ ამ ხეების ჩრდილში გიორგი სააკაძემ გადაიხადა ნადიმი. ამიტომ ამ ხეების სიყვარული ღღემდე შემორჩენილა ხალხში.

ცოტა ხნის წინათ ვისვენებდი ტაშისკარში და როცა ხსენებული წაბლის ხესთან მივედი, გულისტკივილით შევნიშნე: ვიღაც დაუდევარს ერთი ძირი წაბლის ხისათვის მეტრის სიმაღლეზე გაუხსნელი კირი მიუყრია, რითაც ხეს დაღუპვა მოელის.

ზაფხულობით ამ ისტორიული ხეების ჩრდილში ბევრი დამსვენებელი და ნორჩი მოაგარაკე იყრის თავს, სიამოვნებით იგონებს ჩვენი ერის ისტორიულ წარსულს. ამიტომ საჭიროა შემოღობილ და დაცულ იქნას ეს ისტორიული ადგილი.

ვფიქრობთ, ტაშისკარის კოლმეურნეობის გამგეობა და ხაშურის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილება ყურადღებას მიაქცევენ ამ ისტორიულ ადგილს.

ე. გაგუა,
პენსიონერი.

სოფლის კეთილმოწყობას მეგზი ყურადღება

საწირე ტყიბულის რაიონის ყველაზე მთაგორიანი, ლამაზი და ტყით მდიდარი სოფელია. ქუთაისისა და ტყიბულის მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებისათვის საწირე დიდი ხანია ხელმისაწვდომ და მოხერხებულ დასასვენებელ ადგილად იქცა. ისევე როგორც წინა წლებში, საწირეს წელსაც ბევრი დამსვენებელი ეწვია.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო დასკვნებით და პრაქტიკული გამოცდილებით დადასტურებულია საწირის საგარაჯო და სამკურნალო მნიშვნელობა (განსაკუთრებით დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში), მისი კეთილმოწყობისათვის ჯერჯერობით ბევრი არაფერი გაკეთებულა. გარდა იმისა, რომ საწირეში არ არის კეთილმოწყობილი დასასვენებელი სახლები, სოფელს აფთიაქიც კი არა აქვს, რის გამო ადგილობრივ მცხოვრებლებს და დამსვენებლებს წამლისათვის ტყიბულში ან ხრესილში უხდებათ წასვლა. სოფელში ბაზარიც არ არის. ადგილობრივი წყაროები და ჭები ვერ აკმაყოფილებს სოფლის მშრომელთა და ჩამოსულ დამსვენებელთა მოთხოვნილებას.

საჭიროა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ზაკურორტო სამმართველო და რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები დაინტერესდნენ საწირის კეთილმოწყობით.

გ. ცირეკიძე.

დიდი სომეხი პოეტი

ე. ჩარენცის დაბადების 60 წლისთავის გამო

მისსავე მძიმე განცდებს ლენინის გარდაცვალების გამო.

გარდა პოემებისა, ჩარენცს აქვს უამრავი ლექსები, რუბაიები და სხვა პოეტური ჟანრის ნაწარმოებები, რომლებსაც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ და პოეტის მაღალმხატვრულ ოსტატობას ამჟღავნებენ.

ჩარენცმა შთაგონებით უმღერა თავის საყვარელ სამშობლოს — სომხეთს, მთელი რიგი ლექსები ამ თემისადმია მიძღვნილი. „მე ჩემი ლამაზი სომხეთის...“, „სასუნცი დავითი“, „ნორჩი“, „უსაზღვრო მინდვრების მთესავნი“, „ქება ყურნის, ღვინის და სიტყვაკაზმული მწერლობის...“ და სხვა მრავალი ნაწარმოები ნათლად და მომხიბვლელად გვიხატავენ სომხეთის მიმზიდველ ბუნებას, სომეხი ხალხის საუკეთესო შვილთა ხასიათებს. მრავალმა ადამიანმა იცის ზეპირად ეღიშე ჩარენცის ლექსები, მისი ნაწარმოებების ტექსტზე მრავალი მუსიკალური ნაწარმოებია შექმნილი, ხალხი მღერის მის ლექსებს.

ე. ჩარენცი მდიდარი ისტორიული ფაქტებით ადასტურებს ქართველი და სომეხი ხალხების საუკეთესო შვილების — ხ. აბოვიანის და ი. ჭავჭავაძის, დ. გურამიშვილისა და მ. ნალბანდიანის, ა. წერეთლისა და გ. სუნდუკიანის, ოვ. თუმანიანისა და ვაჟა-ფშაველას მიერ გამოთქმულ აზრებს იმის შესახებ, რომ ვიდრე ჩვენ ერთად ვართ, ვიდრე ჩვენ გვეხმარება დიდი რუსი ხალხი, ყოველთვის თავისუფლად და ბედნიერად ვიცხოვრებთ ამ მზიან ქვეყანაზე.

შესანიშნავი პოეტური ჩანაფიქრი უდევს საფუძვლად ჩარენცის ლექსს, მიძღვნილს საქართველოს ლენინური კომკავშირის ფუძემდებლის ბორის ძნელაძისადმი. ავტორი თბილისის კომუნარების ბაღში აღმართულ ძნელაძის ძეგლის მხატვრული სურათის გადმოსაცემად ისეთ ეპითეტებს და გამოთქმებს ხმარობს, რომელთა საშუალებით ჩვენს წინაშე მთელი სიძლიერით იხატება უკვდავი გმირის სახე.

ჩარენცის ნაწარმოებები თარგმნილია მომავალ ხალხთა ენებზე. ქართულ ენაზე ჯერ კიდევ ჩარენცის სიცოცხლეში პოეტმა ნიკოლოზ ნადირაძემ თარგმნა თავები პოემიდან „ურდოები გაგიეგებულთა“; პროფესორმა ილია აბულაძემ თარგმნა მ. ჩარენცის ერთ-ერთი რომანი „ნაირის ქვეყანა“, რომელიც ცალკე წიგნად გამოვიდა. სურენ ავჩიანმა თარგმნა ლექსი „გაზაფხული“, პოეტმა ნესტორ მალაზონიამ—ბალადა „ვლადიმერ ილიჩის, მუეიკისა და ერთი წყვილი ფეხსაცმლის შესახებ“. 1927 წელს საქართველოს სახელგამმა სომხურად ცალკე წიგნად გამოსცა ეღიშე ჩარენცის „რუბაიები“.

ე. ჩარენცი სამართლიანად ითვლება სომხური საბჭოთა ლიტერატურის დიდოსტატად. ჩარენცის ენა და სტილი ეაყკაცური, ამაღელვებელი, ლირიზმით აღსავსე. მისი ლექსები ცხოველმყოფელი, მზიური ოპტიმიზმით აღსავსეა.

გამოჩენილი სომეხი პოეტის ეღიშე ჩარენცის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დღესაც ემსახურება საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, კომუნიზმის დიადი საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის საქმეს.

ჰ. სეროფიანი



ახალი წიგნები

ი. გრიშაშვილი — მხოლოდ სიყვარული. სახელგამი, თბილისი, 1957 წელი. ტირაჟი 15.000, გვ. 63. ფასი 1 მან. 35 კაპ.

ბ. ლორია — ერთტომეული. სახელგამი, ბათუმი, 1957 წელი. ტირაჟი 20.000, გვ. 788, ფასი 17 მან.

შ. კაშმაძე — სანდრო ინაშვილი. მონოგრაფია. გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1957 წელი. ტირაჟი 5.000, გვ. 116, ფასი 8 მან. 50 კაპ.

ა. ფადავა — ლადო მესხიშვილი. საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, თბილისი, 1957 წელი. ტირაჟი 20.000, გვ. 43, ფასი 1 მან.

სურამის ციხის რესტავრაცია

ხაშური. (საკ. კორ.). ისტორიული ძეგლი — სურამის ციხე მრავალ ექსკურსანტს იზიდავს. განსაკუთრებით ბევრი მნახველია ზაფხულობით, როცა სურამში საკურორტო სეზონია.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლების დაცვისა და რესტავრაციის საქმეთა სამმართველომ დაიწყო სურამის ციხის გაწმენდა და ზოგიერთი ნაწილების აღდგენა. წარმოებს არქეოლოგიური გათხრები.

იზრდება კულტურულ დაწესებულებათა ქსელი

თერჯოლა. (საკ. კორ.). ყოველწლიურად ფართოვდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. ამას წინათ ძეგრის კოლმეურნეობაში გაიხსნა სამკითხველო, რუფოთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საკოლმეურნეო ბიბლიოთეკა, რომელსაც დიდი რაოდენობით აქვს მხატვრული, პოლიტიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა.

ახალი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). რაიონში ახლახან დაარსდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. იგი მოთავსებულია ორსართულიან შენობაში, რომელიც კაპიტალურად შეკეთდა. რაიონს სახელოვანი რევოლუციური წარსული აქვს. მრავალმა ადგილობრივმა მკვიდრმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. აქ ყრმობის წლები გაატარა მიხა ცხაკაიამ და სხვ.

რაიონში არის მრავალი ისტორიული, მატერიალური და კულტურული ძეგლი. მარტვილის მონასტერში მრავალი საინტერესო ფრესკა და ორნამენტია, რომლებიც შესრულების მაღალი ოსტატობით გამოირჩევა. მუზეუმის მუშაკებმა მოსახლეობის დახმარებით აღმოაჩინეს ძველებური ნაკეთობანი, მინერალური წყლის საბადოები.

მუზეუმში დიდი ადგილი დაეთმობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში რაიონის წარმატებების ასახვას.

გამოფენის მონაწილეთა გამოცდილება — მასებს

პროგრესული მეთოდების დანერგვით მრავლდება წარმატებები

უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობაში მოპოვებულ წარმატებათა ბრწყინვალე დემონსტრაციას წარმოადგენს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. იგი მეოთხე წელია განაგრძობს მუშაობას და ნამდვილად გახდა მოწინავე გამოცდილების გაზიარების სკოლა. აქედან ბევრი რამ ისწავლეს, გადმოიღეს და დანერგეს წარმოებაში მაიაკოვსკელმა კოლმეურნეებმა, მექანიზატორებმა.

ამ მხრივ დამახასიათებელია მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის კალინინის სახელობის და წითელხევის მარქსის სახელობის კოლმეურნეობები მაგალითი.

როგორ მიაღწიეს დიმელმა და წითელხველმა კოლმეურნეებმა ყურძნის მოსავლიანობის გადიდებას?

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია წითელხევის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის იმ ბრიგადის წარმატება, რომელსაც გამოფენის მონაწილე გ. ფაიქიძე ხელმძღვანელობს. იგი ათ წელზე მეტია ბრიგადირად მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში მდიდარი გამოცდილება შეიძინა. ბრიგადის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი ჯერ პრაქტიკულმა დაკვირვებამ, ხოლო შემდეგ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარმოდგენილ მოწინავეთა მუშაობის ხერხებისა და მეთოდების გაცნობამ.

მთავარი, რაც მან თავის მუშაობაში გამოიყენა, ის არის, რომ ისწავლა ვაზის დატვირთვის „საიდუმლოება“ და დანერგა სასუქების ნიადაგში შეტანის მოწინავე გამოცდილება. მისი ბრიგადის 18 ჰექტარი ვენახიდან 9 ჰექტარი მსხმოიარეა და ისეა მოვლილი, რომ ნაკლს ვერ მოუნახავთ.

— ზოგჯერ გაიგონებთ, — განაცხადა, — გ. ფაიქიძემ, — საკარმიდამო ვენახი უკეთ არის დამუშავებულიო. ეს ჩვენს ბრიგადას არ ეხება. აბა ნახეთ ბრიგადის ვენახი! ყველა წევრი დაინტერესებულია საუკეთესოდ მოუაროს თვითეულ ძირ ვაზს. ეს იმიტომ ხდება, რომ მათს შრომას მაღალი ანაზღაურება აქვს. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, წელს საშუალოდ ჰექტარზე ვიღებთ 75 ცენტნერზე მეტ ყურძენს, გეგმა კი 65 ცენტნერს ითვალისწინებს.

ყურძნის მოსავლიანობის გადიდების ძდიდარი გამოცდილება აქვს სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას, რომლის თავმჯდომარეა გამოცდილი მუშაკი და კარგი ორგანიზატორი მ. ცერაცვაძე. ამ კოლმეურნეობის მევენახეთა თავდადებულ მოღვაწეზე ისიც მეტყველებს, რომ შარშან აქ მთლიანი ფულადი შემოსავალი 1.876.025 მანეთს შეადგენდა. აქედან მევენახეობიდან მიღებულმა შემოსავალმა 1.265.136 მანეთს მიაღწია. შრომადღეზე გაიცა 13 მანეთი და 76 კაპიკი. კოლმეურნეებს პრემია-დანამატის სახით 13.300 კილოგრამზე მეტი ყურძენი ერგოთ.

წელს კოლმეურნეობა 40 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღებს 90 ცენტნერ ყურძენს.

— ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, — ამბობენ დიმელი მევენახეები, — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარმოდგენილმა ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატების წარმატებებმა. საინტერესოა შუა აზიის რესპუბლიკების პავილიონები. აქ ვნახეთ ვაზის ახალი მეთოდით დარგვა. ეს სამუშაო მექანიზებულად სრულდება და, რაც მთავარია, ვაზის გახარება 98 პროცენტს აღწევს. მოლდავეთის სსრ პავილიონში ნაჩვენებია ვაზი, რომელსაც გასხვლა-გაფორმების დროს დატოვებული აქვს 100-180 კვირტი.

დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ფართოდ მოეწყო გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პოპულარიზაცია. საუბრებით გამოვიდნენ ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატები გ. ფულარიანი, ა. გრძელიძე, ა. მუშკუდიანი და სხვები. ამის შემდეგ კოლმეურნეობაში სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა მოსავლიანობის გასაადიდებლად.

კოლმეურნეობის მსხმოიარე ვენახების დიდი ნაწილი გადაყვანილია ორმხრივ ორსართულიან შპალერზე. შემოდგომაზე რიგთა შორის ბარავენ, ხოლო მწკრივთა შორის ხნავენ 20-25 სანტიმეტრ სიღრმეზე. ადრე გაზაფხულზე კი ხნავენ 18 სანტიმეტრ სიღრმეზე და აწარმოებენ სუფთა გამოთოხნას. ითვალისწინებენ რა ვაზის ძლიერ დატვირთვას, გაზაფხულის სამუშაოებს არ აგვიანებენ. პროცესების დაგვიანება გავლენას ახდენს ვაზის ზრდაზე და საბოლოოდ — მოსავლიანობაზე. ამიტომ დიმელთა ვენახებში გასხვლა-გაფორმება ადრე გაზაფხულზე ყოველთვის დამთავრებულია. ამის შემდეგ იწყება ვაზში წვენის მოძრაობა. შესანიშნავი გამოცდილება აქვთ პირველი ბრიგადის მევენახეებს. თუ წინათ აქ 1-2 სანაყოფეს ტოვებდნენ, შარშან 6-7 დატოვეს. მაგრამ მოლოდინს გადააჭარბა ამ ბრიგადის მეოთხე რგოლის გამოცდილებამ. აქ 2 ჰექტარზე თვითეულ ვაზს დაუტოვეს 18 სანაყოფე და საშუალოდ 100-120 კვირტი. განსაკუთრებით გაძლიერეს მოვლა-დამუშავება. ჰექტარზე შეაქვთ 700 კილოგრამი სუპერფოსფატი, 300 კილოგრამი კალიუმის მარილი, ადრე გაზაფხულზე წვენის მოძრაობის დაწყებამდე კი 200-250 კილოგრამი აზოტი. ნიადაგი მუდამ შავ ფხვიერ მდგომარეობაშია. წელს ვენახი ხუთჯერ შეწამლეს, სამჯერ გოგირდი შეაფრქვიეს. სადაც საჭირო იყო, კიდეც მორწყეს. თვითეულ ვაზს ინდივიდუალურად მიუდგნენ. ამის შედეგად აქ თითქმის ყველა ვაზი ძლიერია. ამან განაპირობა უხვი მოსავლის მიღება განსაკუთრებით ამინდის წლევანდელ არახელსაყრელ პირობებში. ბრიგადა, რომელსაც ცნობილი მევენახე გ. ფულარიანი ხელმძღვანელობს, 8,3 ჰექტარზე საშუალოდ იღებს 150 ცენტნერ ყურძენს ნაცვლად შარშან მიღებული 127 ცენტნერისა. ის რგოლი, რომელსაც ნ. ფულარიანი ხელმძღვანელობს, ჰექტარზე იღებს 170 ცენტნერ ყურძენს.

როგორც აღვნიშნეთ, დიმელების ვაზი გადაყვანილია წყვილ-მავთულიან შპალერზე, რომელზეც ხდება სანაყოფეების განლაგება ამას გარდა მათ მეჩხერიანობის სალიკვიდაციოდ მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელეს, პრაქტიკაში დანერგეს ვაზის იმ მხარის ჰორიზონტალურად გაგრძელება, რომელზეც სანაყოფე მეტი რჩება. ამან საგსებით გაამართლა დანიშნულება და კარგი შედეგი გამოიღო. ამას ვარდა აქ დანერგილია თვითეულ ვაზზე ზედმეტი ყლორტების შეცლის, ყლორტების წვერის წაწყვეტის პრაქტიკა. აქაური მევენახეები კარგად ითვალისწინებენ იმას, რომ წვერის წაწყვეტის დროს ყლორტებს უნდა მოსცილდეს მხოლოდ 5-7 სანტიმეტრის სიგრძის ნორჩი ნაწილი. ამ სამუშაოს ახორციელებენ ყვავილობის დაწყებამდე და სწრაფად ამთავრებენ.

დიმელები აგრეთვე სრულმოსავლიან ვენახში ნამხრევებს აცლიან ერთი-ორი ქვედა ფოთლის დატოვებით. ეს ოპერაცია ხელს უწყობს მტევნების უკეთ განვითარებას და აადვილებს ჰაერისა და სინათლის მოქმედებას. თავების წაჭრას აწარმოებენ ვაზის ზრდის შენელების პერიოდში — ივლისის მეორე ნახევრიდან. მათ კარგად იციან, რომ ნაადრევად ჩატარებული ეს ოპერაცია იწვევს ნამხრევების გაძლიერებულ ზრდას. ისინი საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ამთავრებენ ყურძნის მოსავლის აღებას.

ეს და სხვა მთელი რიგი ღონისძიებები დიდ გავლენას ახდენს მოსავლიანობის გადიდებაზე. ამ გზით აღწევენ წითელხეველი და დიმელი მევენახეები ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანას. მათი მუშაობის გამოცდილება ფართოდ შესწავლისა და გავრცელების ღირსია.

ნ. ჯანჯღავა,
გ. ხუსკივაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესია

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის 25 სექტემბრის დილის პლენარულ სხდომაზე საერთო პოლიტიკურ დისკუსიაში პირველი გამოვიდა ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრი კეზი. მან თავისი გამოსვლა დაიწყო გაცვეთილი ცილისმწამებლური გამოხდომით უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს მას იმისათვის დასჭირდა, რომ ჩრდილოეთ მეიყენებინა საბჭოთა კავშირის იმ უმნიშვნელოვანესი წინადადებისათვის, რომ გენერალურმა ასამბლეამ მიიღოს „დეკლარაცია სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ“. კეზი ამ დეკლარაციის წინააღმდეგ წავიდა.

კეზიმ სავსებით დაუჭირა მხარი ამერიკის პოზიციას განიარაღების საკითხებში. კეზიმ სცადა გამალებული შეიარაღება, რომელსაც დასავლეთის ქვეყნები ახორციელებენ, გაამართლებინა სხვადასხვა ინსინუაციებით სსრ კავშირის მიმართ.

ავსტრალიის მინისტრმა გაიმეორა ამერიკისა და ინგლისის იმპერიალიზმის ცილისმწამებლური მონაჭორი სირიის მიმართ და საბჭოთა კავშირის პოლიტიკის შესახებ შუა და ახლო აღმოსავლეთში. ავსტრალიის წარმომადგენელმა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ყოველთვის გამოდის როგორც კოლონიალიზმის მთავარი ადვოკატი, ეს მონაჭორი გამოიყენა, რათა ცდილიყო გაემართლებინა ამერიკის შეერეულებული შტატებისა და ინგლისის ჩარევა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების საშინაო საქმეებში. მან სცადა ეს მონაჭორი გამოეყენებინა „არგუმენტად“ საბჭოთა იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ მიღებულ იქნას „დეკლარაცია სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ“. ირანის დელეგაციის მეთაურმა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. გ. არდალანმა განაცხადა, რომ ირანის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს „საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის“ პრინციპები. ამასთან დაკავშირებით, თქვა ირანის დელეგატმა, „მინდა ხაზგასმით ვთქვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ირანსა და ჩვენს დიდ ჩრდილოელ მეზობელს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის ურთიერთობის განვითარებას უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე. ორი წლის წინათ ჩვენ წარმატებით მოვაწესრიგეთ ჩვენი უთანხმოება საერთო საზღვრების დემარკაციის საკითხში. ჩვენ აგრეთვე წარმატებით ვავითარებთ ჩვენს სავაჭრო ურთიერთობას. დაიდო შეთანხმება იმ მიზნით, რომ ერთობლივად გამოვიყენოთ წყლის ენერგია სასაზღვრო მდინარეებზე კაშხლების აგების გზით“.

ირანის წარმომადგენელმა ამასთანავე სცადა გაემართლებინა თავისი ქვეყნის მონაწილეობა აგრესიულ ბაღდადის პაქტში. მან განაცხადა, რომ ირანი პაქტს შეუერთდა მხოლოდ ერთობლივი უშიშროების მოსაზრებათა გამო, თუმცა სავსებით აშკარაა, რომ ბაღდადის პაქტის ხასიათს განსაზღვრავენ არა ის მოტივები, რომლებითაც მას ირანი შეუერთდა, არამედ მის მთავარ ორგანიზატორთა და სულისჩამდგმელთა მიზნები.

შეეხო რა განიარაღების პრობლემას, არდალანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი გადაჭრა უნდა გახდეს არა მარტო დიდი სახელმწიფოების, არამედ აგრეთვე საშუალო და პატარა ქვეყნების საქმე, რომლებსაც განიარაღების შესახებ შეთანხმების უქონლობა აიძულებს სამხედრო მიზნებზე ხარჯონ თავიანთი ნაციონალური შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ირანის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა თანაუგრძნობს ყველა ქვეყნის ხალხებს, რომლებიც უცხოელთა ბატონობაში იმყოფებიან და ესწრაფვიან დამოუკიდებლობას.

ირანის დელეგატი იცავდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუდმივი საერთაშორისო საპოლიციო ძალების შექმნის იდეას.

ხოსე სერანომ (ჩილი) მოუწოდა ასამბლეას მეტი ყურადღება დაუთმოს სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი ეკონომიურ და ტექნიკურ დახმარებას.

დილის სხდომის დასასრულს გამოვიდა ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი ლეოპოლდ ფიგლი. თუმცა განიარაღების შესახებ მოლაპარაკებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის ქვეკომიტეტში ლონდონში შეთანხმება არ მოპყოლია, განაცხადა მან, მაგრამ იქ წამოყენებული გეგმებისა და წინადადებების შედარება საშუალებას იძლევა იმედი ვიქონიოთ, რომ შესაძლებელია ერთმანეთის მოწინააღმდეგე თვალსაზრისთა დაახლოება. შეეხო რა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობის პრობლემას, ფიგლმა ყველაფერი ამოწურა „უნგრელი ლტოლვილებისადმი“ ეკონომიური დახმარების საკითხით. მან აგრეთვე გამოიყენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნა უნგრელ ფაშისტ მეამბოხეთა დასაცავად.

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის გუშინდელ დღის სხდომაზე საერთო დისკუსიაში გამოვიდნენ უნგრეთის, ავღანეთის, იუგოსლავიისა და მალაიის წარმომადგენელები.

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ენდრე შიკმა განაცხადა, რომ უნგრელი ხალხი დიდად აღშფოთებულია რეზოლუციებით, რომლებიც გენერალურმა ასამბლეამ მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევით და რომლებიც წარმოადგენს ჩარევას უნგრეთის საშინაო საქმეებში.

აღნიშნა რა, რომ იმ უბედურების შედეგად, რომელიც კონტრრევოლუციურმა ამბოხებამ გამოიწვია, უნგრეთის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა ბევრი პატიოსანი უნგრელი, ენდრე შიკმა მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს ხელი შეუწყონ ამ პირების დაბრუნებას სამშობლოში. მან განაცხადა, რომ უნგრეთის დელეგაცია შეიტანს გენერალურ ასამბლეაში შესაბამის რეზოლუციის პროექტს.

ენდრე შიკმა მოიყვანა ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ უნგრეთი, წარმატებით იშუშებს რა კონტრრევოლუციის მიერ მიყენებულ ჭრილობებს, ახალ წარმატებებს აღწევს სახალხო მეურნეობის განვითარებაში. მაგრამ, თქვა მან, დასავლეთის სახელმწიფოები ცდილობენ ხელი შეუშალონ ამ პროგრესს.

სამწუხაროდ, განაგრძო შიკმა, ეს ერთეული შემთხვევა როდია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, როცა მექანიკური უმრავლესობით ხდება მიღება რეზოლუციებისა, რომლებიც არ ითვალისწინებენ მსოფლიოს მოსახლეობის ფაქტიური უმრავლესობის აზრს. ამის მაგალითია გუშინდელი რეზოლუცია, რომელიც კვლავ შესაძლებლობას ართმევს ჩინეთის ნამდვილ წარმომადგენლებს დიაკავონ მათი კუთვნილი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

გენერალურმა ასამბლეამ, თქვა დასასრულ უნგრეთის წარმომადგენელმა, პირველ რიგში ყურადღება უნდა დაუთმოს ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის, ატომგულის იარაღის აკრძალვის, განიარაღების საკითხებს და მდგომარეობას ახლო აღმოსავლეთში.

მოკლე სიტყვა წარმოთქვა ავღანეთის დელეგაციის მეთაურმა ნაჯიბულამ. ავღანეთის დელეგატმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ უკანასკნელი 12 წლის მანძილზე მსოფლიოში მოხდა უდიდესი ცვლილებანი, რომლებიც უმთავრესად გამოიხატა აზიისა და აფრიკის ხალხთა მოძრაობით ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. მან განაცხადა, რომ ავღანეთი მხარს უჭერს კოლონიური ხალხების მისწრაფებას მოიპოვონ დამოუკიდებლობა.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა კოჩა პოპოვიჩმა აღნიშნა, რომ ახლანდელი საერთაშორისო ურთიერთობის ძირითადი ნიშნად კვლავ რჩება „მსოფლიოს მკვეთრი დანაწილება მტრულ ბლოკებად და სამხედრო კავშირებად“.

იუგოსლავიის წარმომადგენელმა სურვილი გამოთქვა, რომ სამხედრო კავშირები შეიცვალოს კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემით.

შეეხო რა განიარაღების პრობლემას, კ. პოპოვიჩმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის საჭიროა გაუმჯობესდეს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დარგებში, ბოლო მოეღოს ყველა ფორმის შეზღუდვასა და დისკრიმინაციას, როგორსაც იყენებენ ჩინეთის მიმართ.

სხდომის დასასრულს გამოვიდა მალაიის დელეგაციის მეთაური ისმაილ აბდულ რაჰმანი.

ეგვიპტის ეროვნული კრების მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისადმი

კაირო, 26 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა ეგვიპტის ეროვნული კრების რიგგარეშე სხდომა, რომელმაც ერთხმად მოიწონა წინადადება გაგზავნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას დეპეშა მოწოდებით, რომ ახლანდელმა სესიამ მიიღოს ყველა საჭირო ღონისძიება, რათა მიაღწიოს ატომური და წყალბადის იარაღის წარმოებისა და გამოყენების შეწყვეტას.

ეგვიპტის ეროვნულმა კრებამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას მოუწოდა აგრეთვე მიაღწიოს შეიარაღების საყოველთაო შემცირებასა და ატომგულის იარაღის არსებული მარაგის მოსპობას საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

რომი, 26 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გაიხსნა იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მოხსენება დღის წესრიგის პირველ პუნქტზე: „ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის ანგარიში საბჭოთა კავშირში მოგზაურობისა და კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან ურთიერთობის განვითარების შესახებ“, გააკეთა გენერალური მდივნის მოადგილემ ლუიჯი ლონგომ.

უშიშროების საბჭოს დახურული სხდომა

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი. (საკდესი). დღეს გაიმართა უშიშროების საბჭოს ხანმოკლე დახურული სხდომა, რომელზეც, როგორც ცნობილი გახდა, ერთხმად გადაწყდა — რჩევა მიეცეს გენერალურ ასამბლეას ხუთი წლით განაგრძოს დაგ ჰამარშელდის ყოფნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პოსტზე.

დაგ ჰამარშელდი აირჩიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივნად

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი. (საკდესი). გენერალურმა ასამბლეამ დ. ჰამარშელდი ერთხმად აირჩია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივნად მეორე ხუთი წლის ვადით.

ფელდმარშლის ნაბოდვარი

ზაფხულის დახუთული ღამე იდგა. ჩაბნელებული ოკეანე ფიქრს მისცემოდა, გარშემო ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა, ნიავი რა არის, ისიც კი არ იძვროდა.

— ეშმაკსაც წაუღია ამქვეყნიური დავიდარაბა! — წარმოთქვა საომარი ისტერიით ქანცგამოლეულმა ფელდმარშალმა, და ოდნავ მაინც რომ დაესვენა, სამხედრო მუნდირი არც კი გაუხდია, სავარძელზე ისე დაეშვა, დახუჭა თვალები და მყისვე გაიტაცა შემზარავმა ფიქრებმა.

...აი აფეთქდა წყალბადის ბომბი, ცეცხლის ალი ავარდა ცაში, სამყარო იწვის, წყალი, წყალი... წამოიძახა ფელდმარშალმა და თვალები გაახილა. ისევ უკუნი ღამე და საშინელი მყუდროება... თვალები კვლავ დახუჭა და რატომღაც მოაგონდა მარად ნეტარი ფორესტოლი, მისი „გმირული“ ნახტომი ცა-თამბრჯენის სარკმლიდან უძირო სივრცეში, მოაგონდა, და ტანში ურუანტელმა დაუარა. შემდეგ საიდანღაც ცოფმორეული ადოლფ ჰიტლერი გაჩნდა და მეორე მსოფლიო ომის სურათები გადაიშალა მის თვალწინ. ფელდმარშალმა გაიხსენა გერმანიაზე გამარჯვების დღეები და კმაყოფილების გრძნობით ამოისუნთქა. მალე ფიქრებით მომავალს გაჰყვა, ნათლად წარმოუდგა კოლონიური სამყაროს რღვევის პროცესი, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხები, დემონსტრაციები, წითელი დროშები, მშრომელთა წინააღმდეგ რეპრესიები. გული ატკინა ეგვიპტის ამბების გახსენებამ და რაღაც რევანშის მაგვარი სურვილი აღეძრა, რევანშისა არა მარტო ეგვიპტის მიმართ, არამედ მთელი სოციალისტური სამყაროს, კერძოდ კი საბჭოთა კავშირის მიმართ. ამისათვის არსებობს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი და მისი შეიარაღებული ძალები, ყველა სახის ბლოკები და ბაზები, ამიტომ ემზადებიან ასე გამალებით ახალი ომისათვის. ფელდმარშალს წარმოუდგა, რომ დადგა ეს დღე, და აი აგვიწერს მის სურათს:

„დღე დ+20-ს (დღე დ— საომარი მოქმედების დაწყების დღე) სავსებით ნათელი გახდა, რომ... აღმოსავლეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ძირითადი ბირთვი განადგურებულ იქნა. დღე დ+25-ს აღმოსავლეთის ჯარები ფრონტებზე დარჩნენ თითქმის უსაწვავოდ და საომარი მასალების უქონლად. მათ მეტისმეტად დიდი დანაკლისი ჰქონდათ და ვერ შეძლეს ვერც თავიანთი დაჭრილების წაყვანა, ვერც მათთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. ჯარები მრავალ ადგილას აღმოჩნდნენ ისეთ მდგომარეობაში, რომ პოლკის მმართველობაზე მაღალი მმართველობა არა ჰყოლიათ. ამის გამო დღე დ+30-ის შემდეგ უკვე აღარ წარმოებდა შეთანხმებული სახმელეთო ოპერაციები. დ+30 და დ+50 დღეებს შორის მწყობრიდან გამოვიდა აღმოსავლეთის უკანასკნელი წყალსზევითა ძალები და წყალქვეშა ნავები. ასე დამთავრდა ბრძოლა...“

ეს ნაბოდვარი, როგორც 1966 წელს მომხდარი ომის მსვლელობის შესახებ 1969 წელს შესრულებული ჩანაწერი „ისტორიკოს“ — ფელდმარშალ მონტგომერისა, გამოქვეყნდა დასავლეთ გერმანიის ჟურნალ „აუსენპოლიტიკში“.

ოცნებას აყოლილი მონტგომერი მოგვითხრობს: „ლაპარაკიც არ შეიძლებოდა იმის შესახებ, რომ ტყვედ წამოგვეყვანა აღმოსავლეთის ათასობით ადამიანი“ და ეს არც მიაჩნია საჭიროდ. „თერმოგულურ საუკუნეში, — აცხადებს იგი, — ხმელეთზე ომის მიზანია არა მოწინააღმდეგის დატყვევება, არამედ მისი მოსპობა ატომური იარაღის დახმარებით“.

ფელდმარშალი მონტგომერი ბევრ რამეში ბაძავს ჰიტლერს. რაც მთავარია, გადაღო მისი „ბლიცკრიგი“, ომის „ელვისებური“ წარმოების თეორია და აი, როგორც ვნახეთ, 50 დღეში დაამთავრა საომარი მოქმედება. რაც შეეხება კაცთმოძულეობას, ამ მხრივ ლამობს ჰიტლერსაც გადაეჯარბოს. დასავლეთის „არმიას, — აცხადებს ფელდმარშალი, — უნდა ჰქონდეს უნარი მოახდინოს ის, რაც მანამდე ისტორიაში არავის არ მოუხდენია ჩინგის-ხანის გამოკლებით“. ჩინგის-ხანის მიბაძვა! აი სანამდე მიდის ომის გამჩაღებელთა კაცთმოძულეობა.

ამბობენ, საბჭოთა კავშირში საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის წარმატებით გამოცდის შესახებ საკდესის ცნობის გამოქვეყნების შემდეგ მონტგომერი ახალ სიზმრებს ნახულობს და „ცხონებული“ ფორესტოლი ღამით მოსვენებას არ აძლევსო.

ერთი რამ აშკარაა: ახლა ბაქია გენერლები აღარ არიან ძველებურ ხასიათზე. მათთვისაც ხომ ცნობილია გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ აღიარება, რომ „რუსეთის მიერ საკონტინენტთაშორისო რაკეტის წარმატებით შექმნა შეერთებულ შტატებზე ადრე მნიშვნელოვნად ცვლის მსოფლიოს ძალთა თანაფარდობას... ამჟამად არ არსებობს არავითარი დაცვა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტისაგან, რომელსაც მიაქვს წყალბადის ბომბი“.

უმჯობესი იქნებოდა მომავალი ომისათვის მზადებისა და ომის შედეგების აღწერის საქმეში ამაოდ დამაშვრალ ინგლისელ ფელდმარშალს ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის დადებითი შედეგები განეზოგადებინა და ინგლისელ და საბჭოთა ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაზე ეზრუნა. უფრო სასარგებლო იქნება, თუ იგი არ დაივიწყებს უოფილი პრემიერ-მინისტრის ჩერჩილის მიერ 1945 წლის 23 თებერვალს ი. ბ. სტალინის სახელზე გაგზავნილი წერილის სიტყვებს:

„წითელი არმია თავის 27-ე წლისთავს დღესასწაულობს ტრიუმფით, რომელმაც მის მოკავშირეთა უსაზღვრო აღტაცება გამოიწვია და რომელმაც გადაწყვიტა გერმანიის მილიტარიზმის ბედი. მომავალი თაობები ცნობენ თავიანთ მოვალეობას წითელი არმიის წინაშე ისევე უსიტყვოდ, როგორც ჩვენ, რომლებმაც იქამდე მივალწიეთ, რომ ამ დიდებულ გამარჯვებათა მოწმენი გავხდით“. — კომენტარები ზედმეტია.

ძალიანაც რომ სურდეს ფელდმარშალ მონტგომერის, ისტორია არ დაივიწყებს საბჭოთა არმიისა და საბჭოთა ხალხის დამსახურებას. კაცთმოძულე გენერლების ნაბოდვარი გაქრება, ხალხთა მეგობრობა და მშვიდობა იცოცხლებს.

აკ. ჩავლეიშვილი.

სიახლენი შემნახველ სალაროს მუშაოგაში

მილიონობით საბჭოთა ადამიანი შემნახველ სალაროებში ინახავს თავის სახსრებს. შემნახველი სალაროები ხელს უწყობენ მეანაბრეებს მიზანშეწონილად განაგონ თავიანთი პირადი ბიუჯეტი. ბევრი მეანაბრე წვრილი თანხების სისტემატური შეტანით აგროვებს საჭირო სახსრებს, მაგალითად, ფასიანი ნივთის ან საგზურის შესაძენად, საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის და სხვ.

საინტერესოა, რომ მხოლოდ მიმდინარე წელს საქართველოს შემნახველ სალაროებში ანაბრების ნაშთი დაახლოებით 250 მილიონი მანეთით გაიზარდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე მეანაბრეთა რაოდენობა.

ახლა თითქმის ყოველი მეორე მოქალაქე შემნახველი სალაროს მეანაბრეა. სისტემატურად იზრდება შემნახველ სალაროთა ქსელი. წელს აფხაზეთისა და აჭარის კურორტებზე, წყალტუბოსა და ბორჯომში, აგრეთვე საქართველოს სხვა დასახლებულ პუნქტებში გახსნილია ათობით ახალი შემნახველი სალარო.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობას 800-ზე მეტი შემნახველი სალარო ემსახურება. ამ დღეებში სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ მეანაბრეთათვის შემნახველი სალაროებით სარგებლობის გადაღილების მიზნით უფლება მისცა მეანაბრეებს საჭირო შემთხვევაში ტელეგრაფით გამოითხოვონ თავიანთი ანაბარი 1.000 მანეთის ფარგლებში. მაგალითად, ქ. თბილისის შემნახველი სალაროს მეანაბრეს საჭირო შემთხვევაში შეუძლია მიიღოს თავისი ანაბარი საბჭოთა კავშირის რომელიმე შემნახველი სალაროდან ერთი-ორი დღის განმავლობაში.

დიდი შედეგათით სარგებლობენ მეანაბრეები ანაბრის გადაგზავნის დროს. მაგალითად, თუ მეანაბრეს სამი თვის განმავლობაში ანაბარზე აქვს არანაკლები ასი მანეთისა, მას შეუძლია უფასოდ გადაგზავნოს თავისი ანაბარი საბჭოთა კავშირის ყველა შემნახველ სალაროში.

მეანაბრეს შეუძლია თავის საშემნახველო წიგნაკზე დამატებით შეიტანოს ანაბარი ჩვენი ქვეყნის რომელიმე ქალაქის ან რაიონის შემნახველ სალაროში.

უკანასკნელ დროს მეანაბრეები ხშირად სარგებლობენ მათთვის მინიჭებული უფლებით — საშემნახველო წიგნაკით ფულს იღებენ არა მარტო თავის შემნახველ სალაროში, არამედ თავისი რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროშიც.

ცნობილია, რომ შემნახველი სალაროები მოსახლეობისაგან იღებენ სხვადასხვა სახის ანაბრებს: მოთხოვნამდე, ვადიანს, მომგებიანს, პირობითს და მიმდინარე ანგარიშებზე.

ანაბრები მოთხოვნამდე მიიღება როგორც განსაზღვრული პირის სახელზე, ისე წარმომდგენზე. მოთხოვნამდე ანაბრების შემნახველ სალაროებში შეტანისას წინასწარ არ განსაზღვრება შენახვის ვადა და სხვა რაიმე პირობა. შემოსავალი ამ სახის ანაბარზე გაიცემა წლიურად 2 პროცენტის ოდენობით. ანაბარი წარმომდგენზე ჩვეულებრივი სახელობითი ანაბრისაგან იმით განსხვავდება, რომ ამ ანაბრის დოკუმენტებზე არ ჩაიწერება ანაბრის მფლობელის გვარი.

ვადიან ანაბარს შემნახველი სალაროები იღებენ ვადით არანაკლებ 6 თვისა და აძლევენ წლიურად 3 პროცენტს.

მიმდინარე ანგარიშებზე საშემნახველო წიგნაკის ნაცვლად მეანაბრეებს ეძლევათ სჩეკო და საანგარიშსწორებო წიგნაკები. მეანაბრის მიერ გამოწერილი ჩეკით შემნახველი სალაროიმ პირს მისცემს ფულს, რომლის სახელზე ჩეკია გამოწერილი. მეანაბრის სურვილისამებრ ჩეკი შეიძლება გამოწერილ იქნას წარმომდგენზეც. მიმდინარე ანგარიშის მოხერხებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მფლობელს შეუძლია განაგოს თავისი ანაბარი შემნახველ სალაროში პირადად გამოუცხადებლად და მინდობილობის გაუცემლად.

უკანასკნელ დროს დიდი პოპულარობით სარგებლობენ მომგებიანი ანაბრები. მომგებიან ანაბრებზე საქართველოს მშრომელები ამჟამად 38 მილიონ მანეთს ინახავენ.

მომგებიან ანაბრებზე შემოსავალი გაიცემა არა პროცენტებით, არამედ მოგებათა სახით. მომგებიანი ანაბრების ტირაჟები ტარდება წელიწადში ორჯერ: აპრილსა და ოქტომბერში. ტირაჟში მომგებიანი ანაბრების ყოველ ათას ანგარიშზე გათამაშდება 25 მოგება.

უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაიზარდა შემნახველ სალაროთა მუშეობით უნაღდო ანგარიშსწორებათა ოპერაციები. ცნობილია, რომ შემნახველი სალაროს მეანაბრეს შეუძლია ბინის ქირა, კომუნალური მომსახურების, ტელეფონისა და სხვა გადასახდელები გადაიხადოს უნაღდო ანგარიშსწორების გზით. ამ სახის ოპერაციების მეშვეობით მეანაბრეები ზოგავენ დროს.

ფულის შენახვა შემნახველ სალაროში მეანაბრეს აზღვევს ყოველგვარი შემთხვევითობისაგან — დაკარგვის, გაფუჭებისა და ხანძრისაგან. საშემნახველო წიგნაკის დაკარგვის შემთხვევაში უკანასკნელი შეიძლება აღდგენილ იქნას და მეანაბრე მიიღებს შემნახველ სალაროში შენახულ ფულს.

თვითეული შემნახველი სალაროს ამოცანაა მშრომელებს სანიმუშოდ გაუწიოს მომსახურება, ზუსტად და დროულად შეასრულოს მათი დავალება.

ა. შტეინბერგი,

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს ოპერატიული განყოფილების გამგე.

ახალი სტომატოლოგიური პოლიკლინიკა

საბურთალოზე (სამხედრო გზა № 38-40) ამ დღეებში გაიხსნა ახალი სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, რომელსაც 28 კვალიფიციური სპეციალისტი ემსახურება. პოლიკლინიკას აქვს თერაპიული სტომატოლოგიის, ორთოპედიის, რენტგენის, ფიზიოთერაპიული კაბინეტები, ქირურგიული კაბინეტი საოპერაციო ოთახით, საპროტეზო განყოფილება ლაბორატორიით და სხვ.

თერაპიულ კაბინეტში წარმოებს კბილების ყოველგვარი დაავადების მკურნალობა, ფიზიოთერაპიულ კაბინეტში მკურნალობენ თანამედროვე მეთოდებით — ულტრამაღალი სიხშირის დენით, გალვანური აპარატით, კვარცისა და სოლუქსის აპარატებით და სხვ. საპროტეზო განყოფილება მომარაგებულია გაუმჯობესებული იარაღით.

პოლიკლინიკა მუშაობს ორ ცვლად დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე, გადაუდებელი შემთხვევისათვის მორიგეობაა დღეღამის განმავლობაში.

კარგად არის მოწყობილი მოსაცდელი დარბაზი და გასახდელი ოთახი.

• • •

სურათზე: პაციენტების მკურნალობა თერაპიულ კაბინეტში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

გ. ვ. გიორგაძე

ბანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შედეგად 25 სექტემბერს გარდაიცვალა ცნობილი ფილოსოფოსი, ფილოლოგი, ფილატონისტი გერმანე ვასილის-ძე გიორგაძე.



გ. ვ. გიორგაძე დაიბადა 1899 წელს სოფელ ცხემლისხიდში (მახარაძის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. 1919 წელს საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მალე ოჯახური პირობების გამო იძულებული გახდა შეწყვეტა სწავლა. საშუალო სასწავლებელშივე განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ლიტერატურისადმი — წერდა ლექსებს, კორესპონდენციებს იმდროინდელ ყურნალ-გაზეთებში.

1922-დან 1941 წლამდე გ. ვ. გიორგაძე მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში განყოფილების გამგის მოადგილედ, 1941-1953 წლებში — საქართველოს რადიოში მთავარ რედაქტორად, ხოლო 1953 წლიდან გარდაცვალებამდე კვლავ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მუშაკი.

1947 წლიდან გ. ვ. გიორგაძე სკკპ წევრია.

გ. ვ. გიორგაძეს გარკვეული დამსახურება მიუძღვის ქართული საბჭოთა პრესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, მებრძოლი ჟანრის — ფელეტონის განვითარებაში. მის ფელეტონებს, რომლებსაც იგი აქვეყნებდა გერმან შუბაძის ფსევდონიმით, ახასიათებდა მახვილი იუმორი, მკვეთრი სტირი. იგი დაურიდებლად აკრიტიკებდა საბჭოთა საზოგადოებისათვის უცხო მოვლენებს, მკაცრად ამთრახებდა ადამიანებს, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან კაპიტალისტური გადმონაშთებისაგან. მისი ფელეტონები სისტემატურად იბეჭდებოდა გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე, აგრეთვე იუმორისტულ ჟურნალებში.

პრესაში თავდადებული მუშაობისათვის იგი დაჯილდოებული იყო მედლებით.

გ. ვ. გიორგაძის, როგორც ნიჭიერი ჟურნალისტის, გულსხმიერი, თავმდაბალი ადამიანის ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

მოსკოვი, 26 სექტემბერი. ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა მორიგი შეხვედრა ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის 1957 წლის პირველობაზე. სსრ კავშირის გასული წლის ჩემპიონის მოსკოვის „სპარტაკის“ წინააღმდეგ თამაშობდა მოსკოვის „ლოკომოტივის“ გუნდი.

რკინიგზელმა ფეხბურთელებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს შეხვედრა და მოიპოვეს სპატიო გამარჯვება ანგარიშით 2:1.

კიშინიოვი, 26 სექტემბერი. კიშინიოვის „ბურევესტნიკის“ ფეხბურთელთა გუნდმა თავის მოედანზე მიიღო კიევის „დინამო“.

შეხვედრა დამთავრდა მოლდაველ სპორტსმენთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

მოსკოვი, 27 სექტემბერი. დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელთა გუნდები.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეხვედრა დამთავრდა მოსკოვის „დინამოს“ გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაბიკიძე.

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი

სეზონის გახსნა

შაბათს 28 სექტემბერს
დ. არაყიშვილი
ლიბრეტო ო. ჭელიძის.
დინარა
ოპერეტა 3 მოქმედებად.

კვირას 29 სექტემბერს
დილის წარმოდგენა
არ. კერეხელიძე
ლიბრეტო ლ. გოთუასი.
სამი პატარძალი

კვირას 29 სექტემბერს
საღამოს წარმოდგენა
დ. არაყიშვილი
დინარა
ოპერეტა 3 მოქმედებად

წარმოდგენების დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
დღისით 12 საათზე.

შვილები ვარვარა, ევდოკია, ვერა, ლიზა, ეკატერინე, ნინო, სიმონ მაჭარაშვილები, შოთა, რევაზ არველაძეები, სიძეები ს. სამყურაშვილი, ვ. ბიწაძე, ტ. ხარშილაძე შვილებით იუწყებიან
მარიამ ანდრიას ასულ მაჭარაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-IX, 4 ს. სოფ. კორბოულში (საჩხერის რ.).

მოქალაქე ვენერა ალექსანდრეს ასულმა თექთუმანიძემ, მცხოვრებმა ნინოშვილის ქ. № 24-ბ, აღძრა საქმე საზღვრის შესახებ. № 17 მცხოვრებ მოქალაქე **ნიკოლოზ ივანეს-ძე თექთუმანიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის სახალხო სასამართლო.

შვილები დავით, ქსენია, ვერა, პაველ, რძლები ეთერ, ციალა, სიძეები ა. აბულაძე, ბ. ალელიშვილი, გ. ებრალიძე ოჯახებით იუწყებიან
ნასტა ილარიონის ასულ ლომაძე-კერესელიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა I-X, 3 ს. სოფ. მაჩხვარეთში (ლანჩხუთის რ.).

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის თანამშრომლები იუწყებიან
იაკობ ნიკოლოზის-ძე ფრუიძის
გარდაცვალებას.

დედა ალექსანდრა, მამა გიორგი, მეუღლე იულია, შვილი მანანა, და მარიკა, ძმა ირაკლი, რძალი ზეინაბ ოჯახებით იუწყებიან
ალექსანდრე გიორგის-ძე გოდერძიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-IX, 3 ს. სოფ. ზემო მაღაროში (სიღნაღის რ.).

შვილები ნიკოლოზ, ვასილ, რძლები მარო, თამარ ოჯახებით იუწყებიან
ანა დიმიტრის ასულ მაისურაძის
გარდაცვალებას დაკრძალვა 29-IX, ქ. გორში, გამოსვენება ნინოშვილის